

საბა  
საქართველოს კათოლიკეთა მაცნე  
№ 5  
მაისი, 2008

აღდგომის დღეები საქართველოში  
პაპი აშშ-ში  
მიღება თბილისში  
დისკუსია არალში  
ღურდის ღმრთისმშობელი

**რედაქციის გვერდი**  
**ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!**

ეს მისაღმება მსოფლიოს ყველა ქრისტიანს აერთიანებს, მათი კონფესიური განსხვავებების მიუხედავად. ამ სიტყვებით პაპმა თავის სააღდგომო უწყებაში Urbi et Orbi (ქალაქს და მსოფლიოს) 23 მარტს სამოცხე მეტ ენაზე მიმართა, და მათ შორის ქართულადაც. აღდგომის უწყება ქრისტიანული რწმენის და ეკლესიის ერთობის ცხოველყოფელი ცენტრია. ეკლესიები ამას, უწინარესად, ყველა წმიდა საიდუმლოს მეშვეობით ამტკიცებენ, განსაკუთრებით კი ქრისტიანული ზიარებით. თუკი ევქარისტია ის საიდუმლოა, რომელიც ყოველ კვირას, მკვდარი და აღმდგარი უფლის დღეს აღინიშნება, მირონცხებასთან ერთად შესრულებული ნათლისღება შეგვიძლია ისეთ საიდუმლოდ მივიჩნიოთ, რომელიც განსაკუთრებულად აღინიშნება უფლის საპასეჟო დღესასწაულის დღეს.

მთელი მსოფლიო ალაპარაკდა, ხოლო ისლამურ გარემოში პროტესტი გამოიწვია პასეჟის ცისკარზე პაპის მიერ იტალიური ყოველდღიური პრესტიჟული გაზეთის რედაქტორის მოადგილის, რელიგიით მუსულმანის, მაჰდი ალამის მონათვლამ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ 10 პირთან ერთად; პასუხში, რომელიც ამას მოყვა, წმიდა საყდრის პრესმდივანმა აღნიშნა, რომ რელიგიური თავისუფლება, ადამიანის დეკლარაციიდან ერთ-ერთი გაუსხვისებელი უფლება, რელიგიის შეცვლის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს, თუკი იგი საკუთარი სინდისის თავისუფლებით სრულდება.

კიდევ ერთხელ ცხადად ჩანს, რომ რწმენა არამტოუ ძღვენად და ამ ძღვენზე გაცემულ პასუხად უნდა გავიგოთ, არამედ როგორც რომელიმე ერთ კულტურაზე, ერთ ეთნოსზე მიკუთვნებად. აქედან გამომდინარე, ის, ვინც მუსლიმური უმრავლესობით დასახლებულ ქვეყანაში ცხოვრობს, ბუნებრივად უნდა იყოს მუსულმანი, ვინც კათოლიკურ ქვეყანაში ცხოვრობს, უნდა იყოს კათოლიკე და ვინც მართლმადიდებელთა უმრავლესობით დასახლებულ ქვეყანაში – მართლმადიდებელი. აქაც, საქართველოში, რწმენა ღამის ჩასახვით გადაცემული ადამიანური ქრომოსომა ყოფილიყოს, როცა ამბობენ, რომ ქართველი აუცილებლად მართლმადიდებელი უნდა იყოს.

ბოლო ხანებში ხშირად გაისმის საუბარი საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელთა მიერ ქვეყნის შიდა ერთიანობის საჭიროებაზე; და ეს ყოველად აუცილებელია. თუკი ადრე აქცენტი ტერიტორიულ ერთიანობაზე კეთდებოდა, ამჯერად აქცენტმა უფრო რელიგიურ ერთიანობაზე გადაინაცვლა, ამიტომაც საკითხავია, საქართველოს ის მოქალაქენი, რომლებიც მართლმადიდებლები არ არიან, ხომ არ წარმოადგენენ ეროვნული ერთიანობის

დაბრკოლებას? ხელახლა მონათვლის პრაქტიკა, რაც დღეს წესად ქცეულა ქართველი მართლმადიდებელი მღვდლების მიერ, შეასხამს კი ხორცს ამ „ფსევდო“ ეროვნულ ერთიანობას? ნუთუ საკმარისი არ არის პირადობის მოწმობა ან ქართული პასპორტი იმის დასამტკიცებლად, თუ რომელ ეროვნებას ეკუთვნის? აუცილებელია დღეს მართლმადიდებელი ეკლესიის ნათლობის სერტიფიკატი? მეორეს მხრივ, ამ აქტუალურ კონტექსტში, როდესაც მთავრობის სრულ უფლებებში მყოფ საქმეებს სინამდვილეში საპატრიარქო აგვარებს, სავსებით გასაგებია ამგვარი პრაქტიკის დანერგვა, რაც უნდა ეწინააღმდეგებოდეს ის რწმენას და განუყოფელი ეკლესიის ტრადიციას.

ამ თვალსაზრისით, მისასაღმებელი შეიძლება იყოს, და პოზიტიურ და თავაზიანობის გამოხატულებად ჩაითვალოს ჩვენი პრეზიდენტის მეუღლის ვიზიტი სოფ. არალში ჩვენი აღდგომის წინა დღეებში, ახალციხის მართლმადიდებელი ეპისკოპოსის თანხლებით. თუმცა ეჭვი მაინც რჩება, რომ პირველი ლედის პირადი და ოჯახური სიტუაცია იმისთვის ხომ არ გამოიყენეს, რომ კათოლიკეებისთვის ეჩვენებინათ იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა იქცე მართლმადიდებლად ოჯახის და ერის ერთიანობის სასიკეთოდ; ამ შეხვედრის თვითმხილველნი ადასტურებენ, პირველმა ლედიმ განაცხადა, რომ იგი იყო კათოლიკე და მართლმადიდებელს ყოველგვარი გადანათვლის გარეშე გაყვა (რაც განსხვავდება ხალხში მოარული აზრისაგან და იმისგან, რასაც ვხედავთ მართლმადიდებელ ეკლესიაში). შეხვედრის მოწმენი ასევე ამბობენ, რომ მართლმადიდებელმა ეპისკოპოსმა, არალის კათოლიკე მორწმუნეთა პრობლემების გამო აღნიშნა, რომ მათი მოგვარება დიალოგის გზითა და ისეთი გამოსავლის მოძებნით მოგვარდება, რაც თანაბრად წაადგებოდა ორივე მხარეს; აქვე მოიხსენია სწორედ ამ მიზნით შექმნილი შერეული კომისია. გულით ვისურვებთ, რომ ამ კომისიამ შეძლოს შეკრება (პირიქით კი ჩანს, ყველა ღონეს ხმარობს, ოღონდაც არ შეიკრიბოს) და რომ ამ კომისიის არსებობამ არ შეუშალოს ხელი სახელმწიფოს წარმომადგენლებს ეროვნულ და რეგიონალურ ღონეზე იმის კეთებაში, რაც მათ კომპეტენციაშია ქართული კონსტიტუციიდან და იმ საერთაშორისო შეთანხმებებიდან გამომდინარე, რასაც იღებს ქართული სახელმწიფო. საეჭვოა ისიც, თუ რატომ ახლდა ასეთ საპატიო სტუმარს მხოლოდ მართლმადიდებელი ეპისკოპოსი და რატომ არ შეიძლებოდა მის გვერდით ყოფილიყო კათოლიკე ეპისკოპოსიც ან თბილისში დაბრუნებულმა, რად არ გამოთქვა ჩვენს ეპისკოპოსთან შეხვედრისა და მასთან იმ პრობლემებზე საუბრის სურვილი, რაც ამ ვიზიტის დროს დაინახა. საეჭვოა ისიც, თუ რატომ დააშინეს მართლმადიდებლად ქცეულმა თანასოფლელებმა ის პირი, რომელმაც არალის კათოლიკე ეკლესიის რეალურ პრობლემებზე ისაუბრა. ასევე საეჭვოა, რად არ გამოჰყო დღემდე თავისი დროის ნაწილი საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოში რომელიმე კათოლიკე საკრებულოსთან შესახვედრად. იქნებ მართლაც დროის უკმარისობის გამო, მაგრამ რამდენი შესაძლებლობა (მისი მეუღლის ვიზიტიც ხომ შეიძლება ამგვარად გავიგოთ?) არსებობს ამისათვის, და განსაკუთრებით იმის გასაგებად, რომ იგი საქართველოს ყველა მოქალაქის პრეზიდენტია, განურჩევლად მათი კონფესიურობისა და ეკლესიურობისა. საეჭვოა ისიც, რად არ შეუძლიათ პარლამენტში ან მთავრობაში მყოფ კათოლიკეებს თავიანთი კათოლიკობის გაცხადება და რამეთი იმ თანამემამულეების დახმარება, რომელთა უფლებებიც კათოლიკობის მიზეზით პატივყარულია.

იმედს ვიტოვებ, რომ პოლიტიკური მოტივით და, ასევე, პირადი წარმატების მოტივით, რელიგია არ გახდება აბუჩად აგდების საგანი, არც უმრავლესობის როლის გადამეტებული შეფასებით და არც უმცირესობათა იგნორირებით, ვინაიდან ადრე თუ გვიან, სამწუხაროდ, ეს ბუმერანგით დაუბრუნდება ეკლესიას და თავად საზოგადოებას.

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში  
2007 წელი - მარტვილობის ჟამი

ახალი დასრულებული იყო საკვირაო წირვა, როდესაც 2007 წლის 3 ივნისს ერაყში, ქ. მოსულის სულიწმიდის ეკლესიის შესასვლელთან, იარაღის რამდენიმე გასროლით მოკლეს წინამძღვარი, მამა რაჰიიდ განი – პირველი მოკლული კათოლიკე მღვდელი ამ ქვეყანაში – და სამი დიაკონი: ბასმან იუსეფ დაუდი, ხასან ბიდავიდი და ვაჰიდ ჰანა. ესენი პირველები როდი იყვნენ ვინც ამგვარი ძალადობის გზით დაიღუპნენ და ასე დაამოწმეს თავიანთი რწმენა. კათოლიკე ეკლესიის მოკლული მსახურების რიცხვი 2007 წელს სულ 21-ს ითვლის, მათ შორის არიან მღვდლები, ბერ-მონაზვნები და სემინარისტები. *ფილეს სააგენტოს* ინფორმაციით მათ რიცხვშია 15 მღვდელთმსახური, 3 დიაკონი, *მარისტის ძმების* ერთი ბერი, *წმიდა ოჯახის ფრანცისკელი* მონაზონი და *წმიდა პავლეს საზოგადოების* სემინარისტი. მათგან, 8 აზიაში (4 ერაყში, 3 ფილიპინებზე და ერთიც შრი-ლანკაზე), 7 ლათინური ამერიკის ქვეყნებში (3 მექსიკაში, 2 კოლუმბიაში, ერთი ბრაზილიაში და ერთიც გვატემალაში), 4 აფრიკაში (2 სამხრეთ აფრიკაში, ერთი კენიაში და ერთი რუანდაში), 2 ესპანეთში. ქალთა წარმომადგენლობიდან, მონაზონი *ანე ტოლე*, სამხრეთაფრიკაში იმ დროს დაიღუპა, როდესაც შიდსით დაავადებულთა გამოყვანას ცდილობდა ხანძარმოკიდებული შენობიდან. იტალიელი წარმოშობის მღვდელი მარიო ბიანკო, ოთხმოცი წლის მისიონერი, კოლუმბიაში დაიღუპა თავდასხმის დროს გამოწვეული სროლების შედეგად. ჯერ აწამეს და შემდეგ ხელფეხშეკრული მკვდარი იპოვეს მამა რინარდ იუნიუსი, *გვადალუპეს ჩვენი უფლის* საკრებულოს სამლოცველოში, ქ. მექსიკაში: იგი ნარკომანიის და მცირეწლოვანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში იდგა. ხოლო მღვდელი ნიკოლასფილაი პაკიხარანჯიტი, შრი-ლანკაში, რომელიც კოორდინატორი გახლდათ მანარის უბნის *იესო – დევნილთა მსახურების საზოგადოებისა*, გზაზე ააფეთქეს ბომბით. გატაცების მცდელობა ტრაგიკულად დამთავრდა გასული წლის 15 იანვარს ფილიპინის სამხრეთში, სადაც მოკლეს ტაბავანას სამრევლოს წინამძღვარი მამა რეინალდო იესუს როდა, 54 წლის.

**ბენედიქტე XVI-ის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში**

20 აპრილს დასრულდა ბენედიქტე XVI-ის სამოძღვრო ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

შეგახსენებთ, რომ პაპი აშშ-ს 15 აპრილს ეწვია. აეროპორტში მას დახვდნენ პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, ამერიკის პირველი ლედი, ჩიკაგოს მთავარეპისკოპოსი, კარდინალი ფრენსის ჯორჯი და წმიდა საყდრის დესპანი აშშ-ში მთავარეპისკოპოსი პიეტრო სამბი.

16 აპრილს, დილის 8 საათზე წმიდა მამამ ვაშინგტონის სამოციქულო ნუნციატურის სამლოცველოში წმიდა წირვა აღავლინა. ეს პირველი ღმრთისმსახურებაა, რომელიც ბენედიქტე XVI-მ ამერიკის შეერთებულ შტატებში შეასრულა. წირვის შემდეგ პაპი თეთრ სახლში გაემართა, სადაც მაღალი სტუმარი ამერიკის პრეზიდენტმა და პირველმა ლედიმ მიიღეს. თეთრი სახლის წინ მისასალმებელ ცერემონიას რამდენიმე ათასი სტუმარი დაესწრო. ცერემონიის შემდეგ შედგა პაპისა და პრეზიდენტის პირადი შეხვედრა თეთრი სახლის ოვალურ დარბაზში, ამავე დროს, გაიმართა ვატიკანისა და აშშ-ის

სახელმწიფო მდივნების შეხვედრა, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ რომის კურიის წარმომადგენლები და აშშ-ის ელჩი ვატიკანში მერი ენ გლენდონი. პრეზიდენტთან პირადი საუბრის შემდეგ პაპი ნუნციატურაში დაბრუნდა, სადაც მისი დაბადების დღის აღსანიშნავად სადილი გაიმართა. საღამოს პაპი შეხვდა კათოლიკური საქველმოქმედო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ეწვია აშშ-ის კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენციის შტაბ-ბინას. დღის დასასრულს ბენედიქტე XVI-მ უმანკო ჩასახვის ეროვნულ საკათედრო ტაძარში საღამოს ღოცვა ადავლინა.

17 აპრილს, დილით, პაპმა წირვა ადავლინა ვაშინგტონის ეროვნულ სტადიონზე, სადაც 46000 მლოცველი შეიკრიბა. დღის მეორე ნახევარში პაპი სიტყვით გამოვიდა ვაშინგტონის კათოლიკური უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში. პონტიფექსის გამოსვლას აშშ-ის სხვადასხვა სასწავლო დაწესებულების 235 რექტორი და საეპარქიო აღმზრდელობითი განყოფილებების 195 ხელმძღვანელი დაესწრო. 18 საათზე იოანე პავლე II-ის ცენტრში ბენედიქტე XVI არაქრისტიანული რელიგიების წარმომადგენლებს შეხვდა. თავის სიტყვაში პონტიფექსმა ხაზი გაუსვა რელიგიური ლიდერების როლს, რომლებიც მოწოდებულნი არიან, ჩაუნერგონ საზოგადოებას ღრმა პატივისცემა ადამიანის სიცოცხლისა და თავისუფლების მიმართ; უზრუნველყონ ადამიანური ღირსების აღიარება; ასწავლონ ბავშვებს, რა არის სიკეთე. იოანე პავლე II-ის ცენტრში ვიზიტის შემდეგ გაიმართა პაპის ხანმოკლე შეხვედრა ადგილობრივ ებრაულ თემთან. ამავე დღეს ნუნციატურაში პონტიფექსი შეხვდა სექსუალურ დანაშაულში ბრალდებული მღვდლების რამდენიმე მსხვერპლს. “მათ ერთად ილოცეს. შემდეგ კი ყოველი მათგანი პირადად ესაუბრა მის უწმიდესობას, გაუხიარა თავისი მწარე მოგონებები. ზოგი მათგანი ტიროდა,” – აღნიშნა წმიდა საყდრის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა ფედერიკო ლომბარდომ. ყოველი მათგანისთვის პაპმა თანაგრძნობისა და იმედის სიტყვები გამონახა. თავდაპირველად დაგეგმილი იყო, რომ ბენედიქტე XVI მტკივნეულ თემას ნიუ იორკში, წირვის შემდგომ ქადაგებაში შეეხებოდა, მაგრამ პონტიფექსმა საჭიროდ მიიჩნია ამ საკითხზე ყოველდღიურად ესაუბრა. “ეს ძალზე მტკივნეულია კათოლიკე ეკლესიისთვის და პირადად ჩემთვის. მე არ მესმის, როგორ შეეძლოთ ღმრთისმსახურებს, ასე გაეწიროთ ეს ბავშვები. მე მრცხვენია და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს აღარ განმეორდეს,” – აღნიშნა რომის პაპმა აშშ-ში ჩამოსვლამდე, თვითმფრინავში.

18 აპრილს ბენედიქტე XVI-მ წმიდა წირვა ადავლინა ვაშინგტონის სამოციქულო ნუნციატურის სამლოცველოში და შემდეგ ნიუ იორკში გაემგზავრა. დღის მეორე ნახევარში შედგა პაპისა და გაეროს გენერალური მდივნის პან გი მუნის შეხვედრა, შემდეგ კი წმიდა მამა სიტყვით გამოვიდა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე. თავის სიტყვაში პაპმა ხაზი გაუსვა ადამიანის უფლებათა დაცვისა და კონფლიქტების დიპლომატიური გზებით მოწესრიგების აუცილებლობას, აღნიშნა, რომ ყოველი სახელმწიფო უნდა იცავდეს თავის მოქალაქეებს კრიზისების შედეგებისგან, ასევე მოუწოდა სახელმწიფოთა და სოციალურ ჯგუფთა შორის უთანასწორობის დაძლევის ეფექტური სტრატეგიის შემუშავებისაკენ. თავის საქმიანობაში გაერომ “უნდა გამოიყენოს მორწმუნეთა მზადყოფნა, თავი მიუძღვნან კაცობრიობას და დაეყრდნოს რელიგიათა შორის დიალოგის შედეგებს,” – აღნიშნა პონტიფექსმა. გაეროს შტაბ-ბინიდან პაპი ნიუ-იორკის უძველეს სინაგოგაში გაემართა. ბენედიქტე XVI პირველი პაპია, რომელიც ამერიკის სინაგოგას ეწვია. დღის ბოლოს პონტიფექსმა მონაწილეობა მიიღო საღამოს ღოცვაში წმიდა იოსების ტაძარში, რომელიც გერმანელ კათოლიკეთა მიერ იყო აშენებული.

19 აპრილს ბენედიქტე XVI-მ წმიდა წირვა ადავლინა წმიდა პატრიკის საკათედრო ტაძარში. თავის ქადაგებაში პაპმა აღნიშნა, რომ “ვატიკანის მეორე

კრების შემდეგ ჩვენთვის უდიდესი გულისტკივილის საგანი გახდა გამიჯნულობა ერთი რელიგიური ოჯახის ჯგუფთა, თაობათა და წევრთა შორის. წინსვლას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, თუკი ერთად მივაპყრობთ თვალს ქრისტეს. მხოლოდ მაშინ, რწმენის შუქზე მოგვეცემა სიბრძნე და ძალა, რათა გავიხსნათ იმ თვალსაზრისებისთვის, რომლებიც შეიძლება არ ემთხვეოდეს ჩვენს იდეებსა და პრინციპებს... მონანიების გზით უნდა მივიდეთ შერიგებამდე. მივუტევოთ წყენა, დავიოკოთ რისხვა და აღშფოთება! ვაჩვენოთ მაგალითი მორჩილებისა და გულის სიწმიდისა, რომელთა გარეშე ვერ მივუახლოვდებით ღმრთის ჭეშმარიტების ნათელს”.

20 აპრილს პაპმა 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიის ადგილას ტერაქტის მსხვერპლთათვის ილოცა. მასთან ერთად ტერაქტის დროს გარდაცვლილთა ნათესავებიც ღოცულობდნენ. რომში გამგზავრებამდე პონტიფიქსმა იანკის სტადიონზე ადავლინა წირვა, რომელსაც 57000 ათასი ადამიანი დაესწრო.

ამით დასრულდა ბენედიქტე XVI-ის ექვსდღიანი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. პაპი რომში კენედის სახელობის ნიუ ორკის საერთაშორისო აეროპორტიდან გაემგზავრა.

### **გარდაიცვალა მოძრაობა ფოკოლარეს დამაარსებელი**

ამა წლის 14 მარტს გარდაიცვალა მოძრაობა “ფოკოლარეს” დამაარსებელი კიარა ლუბინი.

სილვია ლუბინი დაიბადა 1920 წელს, იტალიის ქალაქ ტრენტოში. მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც ტრენტოს ყუმბარებს უშენდნენ, სილვიამ თავისთვის ღმრთის სიყვარული აღმოაჩინა. იგი მიხვდა: ეს ერთადერთია, რასაც ვერავითარი ყუმბარები ვერ დაამსხვრევენ. 1943 წლის 7 დეკემბერს სილვიამ დადო აღთქმა, რომ საკუთარ თავს სრულად მიუძღვნის ღმერთს და სახელი სილვია კიარად შეიცვალა – კლარა (კიარა) ასიზელის პატივის მისაგებად. ეს დღე “ფოკოლარეს” დაარსების დღედ ითვლება.

დღეს მოძრაობის წევრები 180 ქვეყანაში იღვწიან. მათი მიზანი მშვიდობა, საყოველთაო ძმობა და ერთობაა. თავდაპირველად მოძრაობაში მხოლოდ კათოლიკეები შედიოდნენ, ახლა კი ეს მოძრაობა აერთიანებს თითქმის ყველა ქრისტიანული ეკლესიისა და არაქრისტიანული რელიგიების წარმომადგენლებს და ასევე მათ, ვინც არცერთ რელიგიას არ აღიარებს.

1977 წელს კიარა ლუბინმა ტემპლტონის პრემია მიიღო რელიგიისა და მშვიდობის სფეროში პროგრესისათვის, 1998 წელს კი ევროსაბჭოს პრემია მიღწევებისთვის ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში. კიარა პირველი ქრისტიანი ქალი იყო, რომელმაც მოუთხრო თავისი რწმენის შესახებ ტაილანდელ ბუდისტ ბერებს, ამერიკელ მუსლიმებსა და არგენტინელ იუდეველებს.

### **Caritas in veritate – გულმოწყალება ჭეშმარიტებაში**

ბენედიქტე XVI ასრულებს თავის მესამე ენციკლიკას “Caritas in veritate”, რომელიც სოციალურ პრობლემებს მიეძღვნება. ვატიკანის სახელმწიფო მდივნის კარდინალ ტარჩიზიო ბერტონეს განცხადებით, ენციკლიკის პუბლიკაციის თარიღი დაზუსტებული არ არის, თუმცა იგი საზაფხულო არდადეგებამდე გამოქვეყნდება. პაპის სურვილით, ენციკლიკის ტექსტი უპირველესად ჩინურ ენაზე უნდა ითარგმნოს. დაგეგმილია ეპისტოლის არაბულ ენაზე თარგმნაც.

მესამე ენციკლიკა გლობალიზაციასთან დაკავშირებულ სოციალურ პრობლემებს ეძღვნება. მასში ხაზგასმულია კავშირი კაცობრიობის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ადამიანის პიროვნების პატივისცემას შორის.

მოსალოდნელია, რომ ენციკლიკაში საუბარი იქნება სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის კონტრასტზე თანამედროვე სამყაროში. შეგახსენებთ, რომ ბენედიქტე XVI-ის მეორე ენციკლიკა “Spe salvi” 2007 წლის 30 ნოემბერს გამოქვეყნდა. ის ფაქტი, რომ თავის მესამე ენციკლიკას პაპი ასე მოკლე ვადაში აქვეყნებს, მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იგი სოციალურ პრობლემებს.

### **ტაძრები საუდის არაბეთში**

რამდენიმე თვის განმავლობაში წმიდა საყდარი წარმართავს მოლაპარაკებებს საუდის არაბეთის მთავრობასთან სამეფოში კათოლიკური ტაძრების მშენებლობის შესახებ. წმიდა საყდრის წარმომადგენელი ახლო აღმოსავლეთში მთავარეპისკოპოსი პოლ-მუნგედ ელ-ჰასემი აღნიშნავს, რომ საუდის არაბეთში ამჟამად 4 მილიონამდე ქრისტიანი ცხოვრობს. წმიდა საყდრის პრეს-მდივანი ფედერიკო ლომბარდის განცხადებით, ნებართვის მიღება საუდის არაბეთში ტაძრის მშენებლობაზე ისტორიული მასშტაბის მიღწევა იქნებოდა. ზოგიერთი მონაცემებით, ქრისტიანები ქვეყნის მოსახლეობის 4% შეადგენენ. მათ შორის დაახლოებით მილიონი კათოლიკეა.

### **შერეული ქორწინებების შესახებ**

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის კათოლიკე ეპისკოპოსებმა გადაწყვიტეს, შეიმუშაონ სახელმძღვანელო “შერეული ქორწინებების” შესახებ. სახელმძღვანელო განკუთვნილი იქნება მოძღვრებისა და შერეულ ქორწინებაში მყოფი მეუღლეებისათვის.

სახელმძღვანელოში განხილული იქნება შერეული ქორწინების საეკლესიო, სამართლებრივი და სამოძღვრო ასპექტები. წიგნის პირველი ვარიანტი განიხილება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ეპისკოპოსთა კონფერენციის მიერ. საჭიროების მიხედვით, მასში შეტანილი იქნება შესწორებები და დამატებები. სახელმძღვანელოს საბოლოო ვარიანტის წარდგენა დაგეგმილია ამ რეგიონის ეპისკოპოსთა კონფერენციის შეხვედრაზე, რომელიც თურქეთში 2009 წლის მარტში გაიმართება.

**კათოლიკე ეკლესია საქართველოში**

### **შესაძლებელია განახორციელო მსახურება სიყვარულის გარეშე?**

დიდი ოთხშაბათი – წმ. მირონისა კურთხევის წირვა 19. 03. 2008  
(ქადაგება)

გულითად და სიყვარულით სავსე საღამოს გიძღვნით ყველა მღვდელმსახურს და თქვენ, ძვირფასო ძმანო და დანო, ვინც აქ შეიკრიბეთ, რათა მონაწილეობა მიიღოთ ამ საზეიმო ლიტურგიაში და მადლობა უძღვნათ ღმერთს მღვდელმსახურობის მადლისათვის.

ძვირფასო ძმანო ღმრთისმსახურებაში,

მთელი ეს წმიდა ლიტურგია, დიდი სააღდგომო ტრიდიუმის წინ, წარმოგვიჩენს თქვენს, როგორც მსახურებისათვის მოწოდებული ადამიანების, სწრაფვას. ზეთის კურთხევა: კატეხუმენტა ზეთი, ავადმყოფთა ზეთი, წმინდა მირონის ზეთი, მიმართავს ჩვენს ყურადღებას მათკენ, ვინც უახლოვდება თავისი ნათლობის დღეს, მათკენ, ვინც ავადმყოფია და იტანჯება, მირონცხების კანდიდატებისა და მათკენაც, ვინც ემზადება მღვდლობისათვის.

იესოს სიტყვების გამეორებისას: ”აიღეთ და ჭამეთ, აიღეთ და სვით ყოველმან... გააკეთეთ ეს ჩემს მოსახსენებლად”, თვალწინ ჩაგვივლის ჩვენი საკრებულოს წევრების სახეები, რომელთა მწყემსებადაც ვართ გამოგზავნილნი.

წელს, სხვადასხვა ხერხით ვეცადე უფრო ახლოს მომეტანა და გამეცნო თქვენთვის იესოს მიერ ფერხობანის სახარებისეული სცენა (ეფიქრობ კალენდარზე, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ექვს დიდმარხვისეულ კატეხეტურ სწავლებაზე, რომლებიც თქვენ გამოგიგზავნეთ და თქვენ გადაეცით მორწმუნეებს). ეს სცენა, ეს მომენტი, სწორედ იმიტომ, რომ დაკავშირებულია საიდუმლო სერობასთან, ევქარისტის დაწესებასთან ერთად, უნდა ჩაითვალოს განსაკუთრებულ ტიპურ სამღვდელმსახურო მონაკვეთად.

მღვდელი თუ არ აღასრულებს ევქარისტიას, არ ასრულებს იმას, რაც მისი უპირველესი საქმეა, მაგრამ, ასევე, თუ არ ბანს ფეხებს, ანუ თუ არ ცხოვრობს როგორც მსახური, არ აღასრულებს იმას, რაც მისი მოვალეობა და საქმეა.

ევქარისტის დაწესება და ფეხობანა ერთმანეთის თანასწორია, თანაბარი მნიშვნელობა აქვთ. შესაძლოა ჩვენი თეოლოგიური განათლება-ჩამოყალიბება არ წარმართულა ამ კუთხით, თუმცა სახარება სწორედ ამას გვეუბნება.

აქ ჩვენ პარადოქსული საიდუმლოს წინაშე ვდგებით: იესო წარმოაჩენს, ავლენს ღმერთს, როგორც ადამიანის მსახურებაში მყოფს და თუ ღმერთი არის სწორედ ის, რადაც წარმოგვიჩენს თავის თავს როცა ჩვენს მსახურებაში დგება, და თუ სიტყვა-ლოგოსი, რომელიც ყოველივეს საბოლოო მიზანი და აზრია, გვევლინება როგორც სრულად ჩვენს განკარგულებაში მყოფი არსება, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს სწორედ ჩვენი არსებობის უზენაესი აზრის გაცხადებაა ჩვენთვის, რაც უნდა გულისხმობდეს ჩვენს მზაობას და სწრაფვას სხვათა მსახურებისაკენ. სხვათა მსახურებად ქცეულნი შევძლებთ განვიცადოთ ჩვენი თავი, როგორც “მეორე ქრისტე”.

ეს უესტი არის როგორც მეორე სახე, ასლი “გატეხილი პურისა და დასხმული ღვინის”! ეს ერთი და იმავე მედლის ორი მხარეა! იესო ამ ორ მომენტს ერთი და იგივე სიტყვებით ასრულებს “თქვენც ასე მოიქეცით!!!” გელათის ტაძარში, სწორედ ამ კონცეფციის დასტურად, გამოსახულია ფრესკა, რომელზეც იესო ბანს ფეხებს მოციქულებს და მოპირდაპირე მხარეს კი გამოსახულია იგივე სცენა, სადაც მარიამი, რომელიც ეკლესიის სახეა, ბანს ფეხებს იგივე მოციქულებს.

თეოლოგიური სწავლებიდან ვიცით, რომ მსახურება, დიაკონია, ჩვენი მოღვაწეობის საფუძველია. მართლაც, დასაწყისში, სულ პირველად, დავინიშნეთ დიაკონებად და ყოველთვის დიაკონებად ვრჩებით, მიუხედავად იმისა, რომ მომავალში შესაძლოა გვეწოდოს მღვდელი, ან ეპისკოპოსი, ან პაპი.

სადამოობით, სინდისის გამოცდის დროს, უნდა შეგვეძლოს თავს დავუსვათ ორი კითხვა: ერთი – “დღეს კარგი მღვდელი ვიყავი?”, და მეორე – “ვიყავი თუ არა დღეს კარგი მსახური?”. ეს მნიშვნელოვანი კითხვაა და საჭიროა მისი დასმა საკუთარი თავისათვის!

ნება მომეცით, სწორედ იესოს ამ უესტიდან გამომდინარე, გავიხსენო რამდენიმე გამონათქვამი:

“მე ისინი ბოლომდე შევიყვარე” – სწორედ ეს ფრაზა გასდევს იესოს ამ ქმედებას. შესაძლებელია განახორციელო მსახურება სიყვარულის გარეშე? რა ფასი ექნება ამას?

ძვირფასო ძმანო, ჯერ ჩემს თავს ვეტყვი ამას: ჩავდოთ სიყვარული ყველაფერში, რასაც ვაკეთებთ, წირვას აღვაუვლენთ თუ ვესაუბრებით ვინმეს; სახლის საქმეებით ვართ დაკავებული თუ მივიღივართ იმ ოჯახის მოსახსენებლად, რომელსაც არა აქვს ნდობა ჩვენს მიმართ. თუ არ გვესმის, რომ სიყვარულისათვის შეიძლება მოგვკვდეთ კიდევ, და რომ არ უნდა

არსებობდეს არანაირი პირადი ინტერესი, მაშინ ვერ ვიქნებით უფლის კარგი მსახურები.

დღესდღეისობით, ვრცელდება ერთგვარი მენტალიტეტი, და იმედი მაქვს ეს არცერთ ჩვენგანს არ ეხება; ესაა მენტალიტეტი, გაგება, რომელიც მსოფლიოს ბევრ მღვდელში იჩენს თავს – თითქოსდა განსაზღვრულია საათები, როცა უნდა იმუშაო მღვდლად და დანარჩენი საათები კი შეგიძლია შენს თავს დაუთმო, შენს პირად საქმეებს, და არავინ უნდა შეგაწუხოს; ყველაფრისათვის უნდა მივიღო ანაზღაურება, უნდა მქონდეს უზრუნველყოფილი და უსაფრთხო ცხოვრება... არ დაგიმაღავთ, რომ ყოველივე ეს, ამგვარი მღვდლობა, რომც ჰქონდეს მას რაიმე პოზიტიური მხარე, კრიზისში მაგდებს... დარწმუნებული ვარ თქვენ გიგემიათ იმ სიხარულის არაჩვეულებრივი გემო, რომელიც იბადება გრძნობისგან, რომ თითქოს შენი ცხოვრება შთანთქმულია, სრულიად შთანთქმულია სხვების მიერ... ხოლო როცა ჩვენს მიერვეა შთანთქმული გემო იცვლება, სრულიად სხვანაირი ხდება.

“გადაიძრო თავისი სამოსი”: რომ ემსახურო თავი უნდა იგრძნო თავისუფლად, არ უნდა იყო მიჯაჭვული იმის შიშზე, რომ დაისვრები, რომ დაკარგავ პატივისცემას, დაკარგავ სახეს სხვების წინაშე... რომ დაკარგავ იმას, რაზეც მიჯაჭვულები ვართ... თუ ადამიანი არ არის თავისუფალი ვერ შეძლებს დაიჩოქოს და თუ არ დაიჩოქებს ვერ შეძლებს მსახურებას. რა უნდა დავდოთ, რა უნდა დავთმოთ ჯვარცმული იესოს წინაშე თუკი მან თავისი თავისუფლების და სიღარიბის ნიშნად მთელი თავისი სამოსი განიძარცვა?

“დაიწყო მოწაფეების ფერხობანა”: მსახურის, მსახურების შესტია. მის გასაკეთებლად საჭიროა დაიხარო, დამდაბლდე. მღვდლობას იმიტომ არ ვირჩევთ, რომ გავხდეთ ვიღაც მნიშვნელოვანი პერსონა, რომ მაღალ საფეხურზე ავიდეთ (ამას კიდევ ერთხელ შევასხენებ სემინარისტებს), იმისთვის არ ვხდებით მღვდლები, რომ ვინმე დაგვემორჩილოს, რომ რაღაც ძალაუფლებას ვფლობდეთ, რომ გვესმოდეს მომართვა: ”პატივცემულო, ღირსო მამაო!” ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ მიწაზე, სადაც არც ისე მნიშვნელოვანები ვართ, უმცირესობაში ვართ, მაგრამ მაღლიერი ვართ ღმრთისა ამ გამოცდილებისათვის, რომელსაც ის ჩვენ გვარგუნებს. სიღრმისეულად თუ შევხედავთ, მივხვდებით, რომ ძალიან გაგვიმართლა, რადგან ეს განწმენდს ჩვენს მსახურებას.

ფერხობანა ნიშნავს დამდაბლდე მიწამდე, იგრძნო სიმყრალე, რომელიც იმ მძიმე შრომის ნიშანია, რომელსაც ყოველი მსახურება საჭიროებს; ეს ასევე ნიშნავს იყო მთლიანად ჩაბმული საქმეში, რომ დაისველო და გაიჭუჭყიანო ხელები; ნიშნავს იყო თავმდაბალი, მორჩილი ღმრთისა და მოძმეთა წინაშე. თავმდაბლობის გარეშე, მსახურება, ყველაზე კარგი მსახურებაც კი, კარგავს აზრს.

ფეხების ბანა, ასევე, ნიშნავს, არ განასხვავო ადამიანები ერთმანეთისგან. ჭუჭყიანი ფეხების მიხედვით ძნელია იცნო ადამიანი და რაიმე უპირატესობა მიანიჭო. ადამიანი თავისთავადაა ფასეული, თითოეული ღმრთის შვილია გარეგნული მხარის მიუხედავად.

*“და თუკი მე, უფალმა და მოძღვარმა თქვენ დაგბანეთ ფეხნი, თქვენც ერთმანეთს უნდა დაბანოთ ფერხნი” (იოან. 13, 14).* აი, ძვირფასო ძმანო, სიტყვა, რომელიც დღეს უნდა მოვისმინოთ.

აპრილის ბოლოს მივემგზავრები ვიზიტით რომში. ეს მნიშვნელოვანი შეხვედრა იქნება, რომელიც რწმენით უნდა იქნეს განცდილი, ამას ხშირად ვუმეორებ ჩემს თავს. ჩვენი ეკლესია ცხადად გამოხატავს თავის მჭიდრო კავშირს და სრულ თანაზიარებას წმინდა საყდართან ამ შესტით, რომ მისი მწყემსი პირადად ხვდება პაპს და მის თანამშრომლებს. ბევრ კარგს ვეტყვი თქვენზე წმინდა მამას, რადგან ამას ნამდვილად იმსახურებთ, ასევე მოვუყვები იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც ზოგჯერ ასე გვანადვლიანებს,



რომლებსაც თქვენ კარგად იცნობთ, განსაკუთრებით მართლმადიდებელ ეკლესიასთან თანაზიარების გზაზე არსებულ პრობლემებს, მაგრამ, ასევე გამოვხატავ იმასაც, რომ ვაცნობიერებთ რომ ღმერთი მოქმედებს, რომ ღვთის სიტყვა ნელ-ნელა ნაყოფს იღებს აქ მცხოვრები ადამიანების სულებში. გავაცნობ ჩვენს მონდომებას მსახურების საქმეში. ამ მონდომებას და მოვალეობას დღეს კიდევ ერთხელ გავითავისებთ და ხალხის წინაშე განვაახლებთ ჩვენს სამღვდლო აღთქმას.

მინდა ჩემი მილოცვა გადავცე მამა იეჟი შიმეროვსკის მღვდლობის 40 წელთან დაკავშირებით და მამა ვიტოლდ შულჩინსკისა და მამა კარლო დი სტეფანოს მღვდელმსახურების დიდებული 25-ე წლისთავის გამო! ასევე, მამა ზიგმუნდ ნეჯკეჟს ვულოცავ მსახურების პირველ 5 წელს! გილოცავთ!

უდიდესი მადლობა ეკლესიის სახელით!!!

დასასრულს მინდა წაგიკითხოთ მონაკვეთი ქადაგებიდან, რომლითაც ეპისკოპოსმა მონს. ტონინო ბელომ, რომელიც ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა კიბოთი, მიმართა თავის მღვდლებს:

*შევაერთოთ ოლარი და წინსაფარი!*

*შესაძლოა ეს ვინმეს თავხედურ გამონათქვამად მოეჩვენოს და ოლარის წინსაფართან დაახლოება ვინმემ მცირე მკრეხელობად აღიქვას. დიახ, რადგან ჩვეულებისამებრ, ოლარი დაკავშირებულია საეკლესიო სამოსის სათავსოსთან, სადაც ყველა დანარჩენ წმინდა საეკლესიო შესამოსელთან ერთად, საკმეველის სურნელით გაჟღენთილი აბრეშუმის ოლარიც იწონებს თავს თავისი ფერადოვნებით, მასზე გამოსახული სიმბოლოებით და ნაქარგებით. არ არსებობს ახალბედა მღვდელი, რომ არ ჰქონდეს თავისი ქვეყნის კეთილი მოწყალების დების მიერ ნაჩუქარი ძვირფასი ოლარი თავისი პირველი სახეიმი წირვისათვის. წინსაფარი კი გვაგონებს სამზარეულოს კარადას, სადაც, კერძის შხეფებით დალაქავებული, ყოველთვის ხელმისაწვდომია კარგი დიასახლისისათვის. როგორც წესი, ეს არაა სასაჩუქრე ნივთი, მითუმეტეს მონაზვნების მხრიდან ახალგაზრდა მღვდლისათვის მისართმევი. თუმცა ეს ერთადერთი სამღვდელმსახურო სამოსია, რომელიც სახარებაშია მოხსენიებული, სახარებაში, სადაც, დიდი ხუთშაბათის დამეს, იესოს მიერ აღვლენილი ლიტურგიის დროს, არაა საუბარი რომელიმე სამღვდლო სპეციალურ შესამოსელზე, არც ოლარზე, არც მანტიაზე; საუბარია მხოლოდ ამ უხეში ქსოვილის ატრიბუტზე, რომელიც უფალმა შემოირტყა წელზე, ეს მღვდელმსახურობის კოხტა უესტია.*

*ვინ იცის, იქნებ დროა შევმატოთ ჩვენი სამღვდლო სამოსის კარადას წინსაფარიც, ატლასის სტიქარებსა და მოოქროვილი ნაქარგებით მორთულ მოსასხამებს შორის, ფარჩის საბურველებსა და ვერცხლის ფირფიტებით მორთულ ოლარებს შორის!*

*თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არ არის წინსაფრის დამატება სამღვდლო სამოსის კარადაში, არამედ იმის გააზრება, რომ ოლარი და წინსაფარი ერთი სამღვდელმსახურო სიმბოლოს ორი მხარეა. უფრო მეტიც, ისინი არის როგორც სივრძე და სივანე ერთი სამუშაო სამოსისა, რომლითაც უნდა ემსახურო ღმერთს და მოყვასს...*

ახლა კი, ძვირფასო თანამოძმენო, გჩუქნით წინსაფრებს. გთხოვთ, რომ ის თქვენს სალიტურგიო სამოსთან ერთად შეინახოთ და გამოიყენოთ დიდ ხუთშაბათს, ყოველ დიდი ხუთშაბათს, ფერხობანის დროს. ერთმანეთთან თანაზიარებას ვიგრძნობთ როცა ვიფიქრებთ ერთი და იგივე მსახურების აღსრულებაზე. შემოიკარით ახლა ეს წინსაფარი თქვენს სამღვდლო სამოსზე... ეს იქნება ლიტურგიული სამოსი!

ყველას გილოცავთ და ბედნიერ და წმინდა აღდგომას გისურვებთ!

**ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო**  
ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი

## **საზეიმო მიღება ქორთიარდ მარიოტში**

*მისი უწმიდესობის, რომის პაპის ბენედიქტე XVI-ის უმაღლეს პონტიფექსად არჩევის დღესთან დაკავშირებით, სამოციქულო ნუნციუსმა მთავარეპისკოპოსმა კლავდიო გუჯეროტმა თბილისის ყველაზე პრესტიჟულ სასტუმრო ქორთიარდ მერიოტში გამართა ოფიციალური მიღება. მიღებას ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, კათოლიკე და მართლმადიდებელი ეკლესიების მღვდელმსახურები, სხვა აღმსარებლობების სასულიერო პირები, საელჩოებისა და უცხოური წარმომადგენლობების თანამშრომლები და მასმედიის მუშაკები. უწმიდესი პაპის აღსაყდრების დღესთან დაკავშირებული მიღებები ბოლო წლების განმავლობაში ტრადიციულად აღინიშნება.*

### **წმიდა საყდრის დესპანის მიმართვა პაპის აღსაყდრების დღესთან დაკავშირებით**

16 აპრილი, 2008 წ.

პატივცემულ სახელმწიფო ხელისუფალნო, დიპლომატიური კორპუსის აღმატებულნო წევრნო, თქვენო უსამღვდელოესობაჲ, ეპისკოპოსო ჯუზეპე, სხვადასხვა ეკლესიათა და რელიგიათა პატივცემულნო წარმომადგენელნო, პატივცემულ მღვდლებო და მონაზვნებო, ძვირფასო მეგობრებო,

...მადლობას მოვახსენებ ყველა თქვენგანს, ვინც დღეს მონაწილეობას იღებს მისი უწმიდესობა რომის პაპ ბენედიქტე XVI-ის აღსაყდრების მესამე წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში, რომელიც, წესით, დღეს კი არა, 19 აპრილს უნდა მოგვეწყო, მაგრამ მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა კვირეულისადმი პატივისცემის ნიშნად, თარიღი გადმოვწიეთ და პაპის დაბადების დღეს დავამთხვიეთ.

საქართველომ მძიმე დღეები გადაიტანა. ჩვენც ქართველებთან ერთად ვიტანჯეთ და დღეს ძალ-ღონეს არ ვიშურებთ, რათა ცხოვრების ღირსეული პირობები შევუქმნათ ქართველ ერს. ჩვენ გავხდით ძალადობის, მღელვარებისა და მძაფრი დაპირისპირების მოწმენი. ალბათ, ეს ის მსხვერპლია, რომელიც გაღებულნი უნდა იქნას უფრო ღიბერალური და ერთობლივი მმართველობის დამყარებისაკენ მიმავალ გზაზე. გვწამს, რომ დაპირისპირებას დიალოგი და ურთიერთგაგება შეცვლის და საერთო ინტერესები დაძლევს ცალკეული პიროვნებებისა თუ ჯგუფების პრესტიჟის დაცვისაკენ სწრაფვას. ეს ნელი პროცესია და დროს მოითხოვს. ახლა მნიშვნელოვანია მდუმარე განსჯა, უფრო იშვიათი და ნაკლებად ემოციური საუბრები, რომლებიც სიბრძნითაა აღბეჭდილი და არა ურთიერთშიშით.

წმიდა საყდარი დიდად აფასებს მისი უწმიდესობის და უნეტარესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მოწოდებებს. მის უწმიდესობას კარგად აქვს გაცნობიერებული მისი, როგორც ქვეყნის ზნეობრივი ხელისუფლის

პასუხისმგებლობა. ჩვენც იგივე საფიქრალი და თანადგომის სურვილი გვამოძრავებს, თუმცა, რა თქმა უნდა, ფიქრადაც არ მოგვდის, რომ ჩვენი თავი პატრიარქს გავუტოლოთ, რომლის როლიც საქართველოში სრულიად განსაკუთრებულია. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ დამდგარა ის დრო, როცა სხვა კონფესიები და რელიგიებიც თავიანთ წვლილს შეიტანენ საქართველოს კეთილდღეობაში, როცა მოხდება მათი იურიდიული ცნობა, როცა ისინი ჩაითვლებიან არა მხოლოდ ქვეყნის ისტორიის (რაც ისედაც უდავოა), არამედ მისი აწმყოს ნაწილადაც და სახელმწიფოს მიერაც აღიარებულნი იქნებიან.

წმიდა საყდარი მოხარულია, რომ ბოლოდროინდელ პოლიტიკურ დებატებში აქცენტი სწორედ ქართველი ხალხის რეალურ მოთხოვნილებებზე კეთდება. ესენია: თავისუფლება, სოციალური პოლიტიკის გატარება, რომელიც გააუმჯობესებს თითოეული მოქალაქის საცხოვრებელ პირობებს, უზრუნველყოფს მას საკვებით, შესაფერისი ბინით, სამსახურით, განათლებით, სამედიცინო მომსახურებით, გააძლიერებს ოჯახებს, ადამიანურ პირობებს შეუქმნის პატიმრებს. ჩვენ ადრეც არაერთხელ გაგვიცხდებია, რომ ამ პრიორიტეტებს ვატიკანი მუდამ სიამაყით დაუჭერს მხარს, რასაც კათოლიკური ეკლესია ყოველთვის აკეთებდა საქართველოში, ქმედითად და დიდი გულისხმიერებით, თუმცა ერთობ თავმდაბლად. ასეთია ჩვენი მუშაობის სტილი. საყვირი ჩვენი საყვარელი ინსტრუმენტი არაა.

ჩვენ ძალისხმევას არ დავიშურებთ, რათა საერთაშორისო საზოგადოებამ, რომელშიც კათოლიკური თემი ვრცელადაა წარმოდგენილი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს და მხარი დაუჭიროს საქართველოს სოციალურ პოლიტიკას. პაპის ხმა მუდამ გასაგონად უღერს და მას ყველა ანგარიშს უწევს, რაზეც ამერიკის შეერთებულ შტატებში მისი ამჟამინდელი ვიზიტიც მეტყველებს.

საქართველოში წმიდა საყდრის მეორე პრიორიტეტი გახლავთ მშვიდობისა და ურთიერთგაგების ხელშეწყობა, ერთის მხრივ, უმრავლესობასა და, მეორეს მხრივ, ეთნიკურ თუ რელიგიურ უმცირესობებს შორის (ამ უკანასკნელში იგი თავის თავსაც მოიაზრებს). ძირითადი საზრუნავი კი რეგიონალური კონფლიქტებია. წმიდა საყდარი მუდამ მზადაა დამაკავშირებელი ხიდის ფუნქცია იტვირთოს. ხიდის გარეშე ხომ არც ურთიერთობები არსებობს და არც შეხვედრები. ამიტომაცაა რომ, იზოლაციისა თუ ომის მსურველი, პირველ რიგში, ხიდებს აფეთქებს. სწორედ ხიდების გამყარება იქნება სამშვიდობო პოლიტიკური ნების ნათელი დადასტურება.

გვწამს, რომ თანამშრომლობა და ურთიერთგაცვლა საქართველოსა და წმიდა საყდარს შორის გაგრძელდება და კიდევ უფრო განმტკიცდება, როგორც ეს დიდი წარმატებით ხდება კავკასიის სხვა რეგიონებში.

ყოველივე კარგს ვუსურვებთ სრულიად საქართველოს და ქართველ ხალხს!

## შეხვედრა არალში

17 მარტს, როცა საქართველოში მცხოვრები კათოლიკეები ბზობას აღვნიშნავდით, მეუფე ჯუზეპეს დავალებით სოფელ არლისკენ გავემგზავრე, სადაც კათოლიკურ და მართლმადიდებელ მხარეებს შორის დიალოგი უნდა გამართულიყო “გადანათვლისა” თუ “ხელმეორე ნათლობის” შესახებ.

“საბას” მკითხველმა კარგად იცის, რომ სოფელ არალში უკვე დიდი ხანია, რაც ვითარება გართულდა – ტრადიციულ კათოლიკურ თემთან ერთად გაჩნდა მართლმადიდებელი თემი. ამ ორ თემს შორის ურთიერთობა დღეს საკმაოდ

დადაბულია. ამის მიზეზი ისაა, რომ არღელი მართლმადიდებლები, ძირითადად, ყოფილი კათოლიკეები არიან, რომელთაც არღის მართლმადიდებელი წინამძღვარი მამა იოსები ხელმეორედ ნათლავს.

ვითარება დადაბა საქართველოს პრეზიდენტის მეუღლის სანდრა რულოვის გამორჩენამაც, რომელიც რამდენიმე კვირის წინ არღის კათოლიკურ ტაძარში მართლმადიდებელ მიტროპოლიტ თეოდორესთან ერთად მიბრძანდა და იქ შეკრებილ კათოლიკე მრევლს შემდეგი რამ განუცხადა: მეც ერთ დროს კათოლიკე ვიყავი, კათოლიკე დედ-მამის შვილი, მაგრამ როცა ჩემს სულიერ მოძღვარს ვუთხარი, რომ მართლმადიდებელზე ვთხოვდებოდი, მან ნება დამრთო, რომ კონფესია შემეცვალაო. ბევრმა არღელმა კათოლიკემ პრეზიდენტის მეუღლის ეს განცხადება გადანათვლის მოწოდებად აღიქვა.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ მეუფე ჯუზეპემ თავის ბოლო სამწესო წერილში ხაზგასმით დაგმო ხელმეორედ მონათვლის პრაქტიკა და კათოლიკე მრევლს სიმტკიცისაკენ მოუწოდა.

არღის შეხვედრის კონკრეტული მიზეზი საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა: სოფლის მკვიდრი კათოლიკე ზ. საგონებელში ჩავარდა – მას ვერ გადაეწყვიტა, კათოლიკედ დარჩენილიყო, თუ მართლმადიდებელი გამხდარიყო. სწორდ ზ. გახდა კათოლიკეებისა და მართლმადიდებელთა ამ შეხვედრისა და დისკუტის ინიციატორი.

შეხვედრა 3 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. კათოლიკური მხრიდან ვმონაწილეობდით მამა იეჟი შიმეროვსკი, მამა ზურაბ კაკაჩიშვილი, მამა აკაკი ჭელიძე და მე (მოგვიანებით შემოგვიერთდა ვალეში მოღვაწე მამა მანეი). მართლმადიდებელ მხარეს ივლიტელი წინამძღვარი მამა იოანე და არღელი წინამძღვარი მამა იოსები წარმოადგენდნენ. თავიდანვე უნდა შევნიშნო, რომ მამა იოანემ მშვიდი და გაწონასწორებული მოძღვრის შთაბეჭდილება დატოვა, რომელიც მხოლოდ დროდადრო ერთვებოდა ხოლმე დიალოგში.

დისკუტი ცხარე აღმოჩნდა – გადანათვლის გარდა, საუბარი აღმოსავლურ სქიზმას, სული წმიდის გამოსვლას, პაპის უცდომლობას, 7 საიდუმლოს, მსოფლიო კრებებსა და სხვ. საკითხებს შეეხო.

მამა იოსების მოსაზრებები და არგუმენტები ამგვარად შეიძლება დაგაჯგუფოთ:

1. კათოლიკე ეკლესია ეკლესია არაა;
2. ამიტომაც, არც მისი მოძღვრები არიან მღვდლები (ამის გამო, მამა იოსები მამა იეჟის მხოლოდ სახელით და შენობითი ფორმით მიმართავდა, თანაც პროვოკატორს უწოდებდა ხოლმე);
3. კათოლიკე მღვდლის აღსრულებული ნათლისღება არაა ნათლისღება, რადგანაც კათოლიკე მღვდელი მღვდელი არაა.

ამის შემდეგ, კათოლიკურმა მხარემ მამა იოსებს ამგვარი შეკითხვა დაუსვა – რას ფიქრობს ის ბალამანდის (ლიბანი) 1993 წლის შეთანხმების შესახებ, სადაც კათოლიკე ეკლესიამ და მართლმადიდებელმა ეკლესიებმა უარყვეს ხელმეორე ნათლობა (აქვე შევნიშნავ, რომ აღმოსავლური ეკლესიების მხრიდან დოკუმენტს ხელი მოაწერეს კონსტანტინოპოლის, ანტიოქიისა და ალექსანდრიის საპატრიარქოების, რუსეთის, რუმინეთის, კვიპროსის, პოლონეთის, ალბანეთისა და ფინეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენლებმა. შეხვედრას არ ესწრებოდნენ იერუსალიმის საპატრიარქოს, საბერძნეთის, სერბეთის, ბულგარეთის, საქართველოს, ჩეხეთისა და სლოვაკეთის ეკლესიათა წარმომადგენლები – თუმცა მათი დიდი ნაწილი დროთა განმავლობაში ბალამანდის ამ ხელშეკრულებას მაინც შეუერთდა)?

მამა იოსებმა აღნიშნა, რომ ბალამანდის შეთანხმება ერეტიკული დოკუმენტია. სწორედ ამიტომ, 1998 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა ეს დოკუმენტი არ აღიარა.

ჩვენი მხრიდან ამ პასუხს ამგვარი შეკითხვა მოჰყვა – რას ფიქრობს მამა იოსები კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქისა და მოსკოვის პატრიარქის შესახებ? მან მოგვიგო, რომ ორივე მათგანი ერეტიკოსია. ჩვენს შეკითხვას, თუ რატომაა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ორივე მათგანთან თანაზიარებაში, მან მრავალმნიშვნელოვანი დუმილით უპასუხა.

ამის შემდეგ ჩვენ შევეხეთ საეკლესიო იურარარქიისა და ავტორიტეტის საკითხს – თუ მსოფლიო პატრიარქი ავტორიტეტი არაა, მაშ ვინ არის ავტორიტეტი ქართული ეკლესიისთვის? მამა იოსებმა აღნიშნა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წმ. გიორგი ათონელის ავტორიტეტს ეყრდნობა.

მაშინ ჩვენ შევასხენეთ ერთი ფაქტი “წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებიდან”: ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე X დუკამ დარბაზობისას გიორგი ათონელს ჰკითხა, თუ ზიარების რომელი წესი იყო ჭეშმარიტად მართლმადიდებელი – ბერძენთა თუ რომაელთა. გიორგი ათონელმა მიუგო, რომ “ბერძენთა შორის თავიდანვე მრავალი მწვალებლობა (ერესი) შემოვიდა, სწორედ ამიტომ გაიმართა ამდენი წმიდა კრება, ხოლო რომაელებს, რადგანაც თავიდანვე აღიარეს ერთი ღმერთი, არასდროს გადაუხვევიათ მართლმადიდებლობისთვისო” (მკითხველს შევასხენებ, რომ კონსტანტინე X დუკა 1059 – 1067 წლებში, ანუ რომსა და კონსტანტინეპოლს შორის მომხდარი 1054 წლის სქიზმის შემდეგ მეფობდა – მაშასადამე, ბერძენთა სქიზმის შემდეგ გიორგი ათონელი რომის ეკლესიის მართლმადიდებლობას აღიარებს!). ეს პასუხი იქვე მყოფ ლათინებს ძალიან მოეწონათ და გიორგი ათონელი პაპთან შეხვედრაზე მიიწვიეს.

ამ ფაქტმა მამა იოსები გააოცა. მან იმწამსვე დაურეკა მიტროპოლიტ თეოდორეს (ჩვენი ვარაუდით) და უთხრა: აქ მიმტკიცებენ, რომ გიორგი ათონელი პაპისტი იყო.

1054 წლის სქიზმას კიდევ ერთი კამათი მოჰყვა. მამა იოსებმა განაცხადა, რომ ეს სქიზმა მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მოხდა. ჩვენმა მხარემ მას მიუთითა, რომ მართლმადიდებელი სამყარო მხოლოდ 7 მსოფლიო კრებას აღიარებს. VII მსოფლიო კრება 787 წელს ნიკეაში ჩატარდა. აქედან გამომდინარე, 1054 წელს მსოფლიო საეკლესიო კრება ვერ ჩატარდებოდა.

ამის შემდეგ საუბარი პაპის უზენაესობასა და უცდომლობაზე ჩამოვარდა. კათოლიკურმა მხარემ მართლმადიდებლებს მიუთითა, რომ პაპის უზენაესობასა და სარწმუნოების საკითხებში უცდომლობას ეკლესიის ისეთი მამები აღიარებდნენ, როგორებიც იყვნენ წმ. ირინეოს ლიონელი, წმ. ათანასე ალექსანდრიელი, წმ. მაქსიმე აღმსარებელი და სხვ. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მაქსიმე აღმსარებელს მთელი ტრაქტატი აქვს დაწერილი პაპის უზენაესობის შესახებ.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ნათლობისა და მირონცხების საიდუმლოებათა განსხვავებამაც. მართლმადიდებელი მხარე გვეუბნებოდა, რომ ისინი ვერ ხედავენ ცალკე მირონცხების აუცილებლობას, როცა ნათლობისას აგრეთვე ხდება მირონცხება. ამაზე ჩვენ ვუპასუხეთ, რომ თუ მირონცხება ცალკე საიდუმლო არაა, მაშინ გამოდის, რომ მართლმადიდებლები 6 საიდუმლოს აღიარებენ და არა – 7 საიდუმლოს (არადა, 7 საიდუმლო ორივე მხარისათვის ხელშეუხებელია!).

დაახლოებით ამგვარ სტილში ჩაიარა დისკუსტმა, რომელიც მშვიდობიანად, მაგრამ, ცხადია, ყოველგვარი შედეგის გარეშე, დასრულდა. სოფლის მცხოვრები ზ. ამის შემდეგ მალევე გადაინათლა, ხოლო არლის ერთ მცხოვრებს (რომლის

სახელსაც ვერ დავასახელებ) სამსახურში განუცხადეს, რომ თუ ის არ გადაინათლება, სამსახურს დაატოვებინებენ.

არაღში მდგომარეობა დაძაბულია. არლის კათოლიკე წინამდგარი მამა იეჟი მუდმივ ზეწოლას განიცდის. მამა იოსებმა ასეთი რამეც გვითხრა – აქედან მოაცილეთ ეს პოლონელი, თქვენ ხომ მაინც ქართველები ხართ და ერთმანეთში ქართველებმა ვილაპარაკოთო.

კიდევ ერთი დეტალი – ორივე მართლმადიდებელი მოძღვარი გააოგნა იმ ფაქტმა, რომ კათოლიკე მამა აკაკი ჭელიძე მართლმადიდებლურად არის მონათლული და კათოლიკე მღვდელია. რატომ არ მონათლეთ თავიდანო? – გვკითხეს. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ “ვადიარებთ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებლად ცოდვათა”.

არლის შეხვედრამ ამგვარი შეკითხვები აღმიძრა:

1. რამდენად ტიპურია მამა იოსები და მისი მოსაზრებები ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისთვის?
2. შეიძლება თუ არა, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის წინამდგარმა და მოძღვარმა არ იცოდეს, თუ რამდენ საიდუმლოსა და რამდენ მსოფლიო საეკლესიო კრებას ადიარებს მართლმადიდებელი ეკლესია?
3. შეიძლება თუ არა რომ ქართველმა მღვდელმა არ იცოდეს, თუ რა წერია გიორგი მცირის “გიორგი ათონელის ცხოვრებაში”?

დაბოლოს, კიდევ ერთი შეკითხვა დამებადა, თუკი 1054 წლის სქიზმის შემდეგ (რომელშიც, აქვე შევნიშნავ, საქართველოს ეკლესიას მონაწილეობა არ მიუღია) კათოლიკე ეკლესია ეკლესია აღარაა, კათოლიკე მღვდლები მღვდლები აღარ არიან, ხოლო მათ მიერ აღსრულებული ნათლისღება ნათლისღება აღარაა, მაშინ რატომაა დღესაც საქართველოს ეკლესიის წმიდანი და ავტორიტეტი გიორგი ათონელი, რომელიც 1054 წლის სქიზმის შემდეგ ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე X დუკას წინაშე თამამად ადიარებდა რომის ეკლესიის მართლმადიდებლობას – სწორსა და ჭეშმარიტ სარწმუნოებას?

**ზაზა**

## **შათირიშვილი**

### **აღდგომა უღეში**

ბევრი არაა ადამიანის ცხოვრებაში ნამდვილად „დაუვიწყარი“ დღე. ამ გაცვეთილ სიტყვას ხშირად გაიგონებ და საკუთარ თავსაც წაასწრებ ხოლმე იმაში, რომ დაუვიწყარს უწოდებ ბევრ ისეთ რამეს, რასაც სინამდვილეში დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია.

შარშანდელი აღდგომის ორშაბათის გრძნობა კი უკვე წელიწადია არ გამნელებია, არც გონებაში და არც გულში, და თუკი ერთი წლის შემდეგ ვლაპარაკობ იმაზე, რისი მოწმეც გახდი უდის სასაფლაოზე 2007 წლის აღდგომის ორშაბათს და რაც განვიცადე, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო თამამად დამერქმია „დაუვიწყარი“ ამ დღისათვის.

განსაკუთრებული რა მოხდაო, იკითხავთ ალბათ. ნამდვილად არაფერი, ერთი შეხედვით მოხდა ის, რომ ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიყავი უდის სასაფლაოზე, ეს იყო ჩემი მღვდლობის პირველი პასეჟი, და განგების ძალით ამ წელს კათოლიკური და მართლმადიდებლური კალენდრებით აღდგომა ერთ დღეს დაემთხვა. ამაშიც არაფერია არაჩვეულებრივი, ხდება ხოლმე. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ამ ფაქტის გამო უდის სასაფლაოზე ყველანი ერთად იქნებოდნენ საკუთარი მიცვალებულების საფლავებზე გასულნი. ჭიშკარში, როგორც მოველოდი, ადგილობრივი მართლმადიდებელი მღვდელი, მგალობელ

გუნდთან ერთად ლოცულობდა. საღამო მივეცი და მოშორებით კათოლიკე მრევლთან ერთად დავიწყე ლოცვა. პროცესიით შევუდექით სიდიდით სოფლისავე პროპორციულ, მთაზე შეფენილ, იარუსებად დაყოფილი სასაფლაოს შემოვლას და საფლაგების ნაკურთხი წყლით სხურებას. „ეს ჩვენი მღვდელია!“ მესმოდა ზურგს უკან, „მამაო, აქეთ მობრძანდით!“, „ჩვენს საფლაგზეც, მამაო!“, მესმოდა აქეთ-იქიდან; არადა ვიცოდი, რომ ამ დროს სოფლის მკვიდრი მართლმადიდებელი მღვდელი, ჩქარი ნაბიჯით წინ რომ გადამისწრო, კურთხევა არ დამასწროსო, უკვე ჩავლილი იყო, „თავის მღვდლად“ კი ხალხი სრულიად უცნობ პიროვნებას მიიჩნევდა, იმიტომ რომ იგი კათოლიკე იყო. აი, რა გამყვა როგორც მღვდელსა და როგორც ადამიანს დაუვიწყარ გრძნობად და დიდ პასუხისმგებლობად. „ამ სასაფლაოზე, მამაო, ყველა კათოლიკე განისვენებს“, მეუბნებოდნენ კმაყოფილი მლოცველები, არც თუ ბევრად გადაჭარბებული განზოგადებით, და მთელი სოფლიდან მხოლოდ ერთმა ოჯახმა განმიცხადა კატეგორიული უარი, „ჩვენ ჩვენი გვყავსო“!

თუ ერთი წელი ველოდი ჩემთვის ამ ღირსშესანიშნავ დღეზე სახალხოდ ლაპარაკს, ეს იმიტომაც, რომ ვიფიქრე, ალბათ, უდევლების მთელი საზოგადოება აღდგომის დღის დამთხვევის გამო ერთიანად საფლაგებზე თუ იყო გასული, და, ერთი ოჯახის გარდა, არავის გამოუთქვამს აშკარა პროტესტი კათოლიკე მღვდლის ლოცვაზე, სხვებს ზრდილობის გულისთვის არ უთქვამთ არაფერი-მეთქი. ამიტომაც წლევანდელი პასექი, როდესაც დასავლეთი და აღმოსავლეთი ერთი თვის განსხვავებით აღნიშნავს უფლის აღდგომას, განსაკუთრებით საინტერესო იყო ჩემთვის; მადლობა ღმერთს, წელსაც უდის საფლაგების კურთხევა მერგო წილად. წინადღით სასაფლაოს კარიბჭესთან დაგოჭვით წმიდა წირვის აღსრულება, მიუხედავად იმისა, რომ ამინდი კარგს არაფერს გვიქადიდა. ვიცი რას ნიშნავს ტრადიციის ძალა, მაგრამ ის, რაც წელს ვიხილე აღდგომის ორშაბათს, ნამდვილად არ მოველოდი, თითქმის მთელი სოფელი კათოლიკურ აღდგომაზე გავიდა საფლაგებზე! და რომ არ ვაჭარბებ, ამის მოწმედ იმ მანქანების უსაშველო რიგიც კმარა, სოფლიდან გასული უდევლები რომ მოიყვანა საკუთარ ფესვებთან (ეგრეთწოდებული „საწირავების“ ზღვა, რომლითაც მესხეთის კათოლიკენი მოიხსენიებენ საკუთარ მიცვალებულებს წმიდა წირვაში, უსასრულო ლიტანიებად უძღვოდა წინ ამ საპასექო დღეებში ყოველ წმიდა წირვას. ასობით, არ ვაჭარბებ, ოჯახმა სთხოვა საკუთარი მიცვალებულებისათვის ლოცვა კათოლიკე მღვდელს) შეეყურებდი ამ ხალხს და სიხარულთან ერთად ვგრძნობდი, რომ კათოლიკე მღვდელი უდეში არაა უცხო, გარეშე. და მზის სხივებში მხოლოდ ნაკურთხი წყლის წვიმა იდგა სასაფლაოზე.

უკან დაბრუნებისას არლის სასაფლაოსთან უნდა ჩამეველო და აქაც მსგავსი სურათი დამხვდა, როგორც შემდეგში მამა იეჟიმ და მამა ზურაბმაც მითხრეს, არალის, ვალის, ივლიტის თითქმის მთელი მოსახლეობა სასაფლაოზე იყო გასული კათოლიკური კალენდრით.

გბრუნდებოდი მესხეთიდან უსაშველოდ დამქანცველი სააღდგომო დღეების შემდეგ, მაგრამ, ამავე დროს, უსაზღვროდ კმაყოფილი და ბედნიერი და ვფიქრობდი, მადლობა ღმერთს, რომ არ ინებე ჭეშმარიტების სიტყვის გაქრობა ამ ჩვენს ბედკრულ სამშობლოში, სადაც არის ხალხი, ვისაც ჰგონია, რომ კათოლიკობა საქართველოში უბედური შემთხვევის შედეგი იყო და სხვა არაფერი, არის ხალხი, ვინც ვერ ხედავს იმ ამაგს, რაც სამშობლოს სამსახურში გაუწევიათ ქართველ კათოლიკეთ, არის ხალხი, ვისაც არ სიამოვნებს ის, რომ მამული უნდა ემსახურებოდეს ღმერთს და არა ღმერთი მამულს და ვერ ხედავენ ეროვნული იდეოლოგიის სამსხვერპლოზე სინდისისა და რწმენის შეწირვის სავალალო შედეგებს.

**მ. აკაკი ჭელიძე, კამილიელი**

## 2008 წლის აღდგომა დასავლეთ საქართველოში

მოწმენდილ ცაზე გაზაფხულის მთვარე ანათებდა, სავსე და კაშკაშა, – მთვარე, რომელიც ნიკეას კრების (325) დეკრეტების მიხედვით, მთელი მსოფლიოს ქრისტიანთა პასეჟის თარიღის დასადგენად არის საჭირო, – როდესაც შუაღამის პირს, ოზურგეთის კათოლიკური საკრებულო საპასეჟო ცისკარს იწყებდა, ყველაზე მიმზიდველსა და მნიშვნელოვან ლიტურგიას, ღამის სიბნელესა და სინუმეში, პასეჟის ცეცხლის – უფლის პასეჟის ნიშნის ირგვლივ, საიდანაც ნათელს იღებს იგი ყოველდღიური ქრისტიანული გზის გასანათებლად; პაპმა ბენედიქტე XVI-მ ამ წლის სააღდგომო ცისკარზე თავის ქადაგებაში რომის წმ. პეტრეს ბაზილიკაში ცეცხლის მნიშვნელობაზე ამ სიტყვებით ისაუბრა: „გრივად ტურსელი ერთგან იმ ადათებზე ყველა, სხვადასხვა ადგილებზე რომ იყო დიდხანს შემონახული და ეხებოდა სააღდგომო ცისკარის აღსანიშნავად ახალი ცეცხლის აღებას, პირდაპირ მზისგან წამოსული ბროლის მეშვეობით: შეიძლება ითქვას, ასე იღებდნენ ზეციდან ახალ ცეცხლსა და სინათელს, რომ შემდეგ მათი მეშვეობით მთელი წელიწადი ანთებული ყოფილიყო ყველა სინათლე და ცეცხლი. და ეს არის სიმბოლოა იმისა, რასაც სააღდგომო ცისკარზე აღენიშნავთ. თავის უძირო სიყვარულში, რაშიც ღვთისა და ადამიანთა გულები ერთურთს შეხვდნენ, იესო ქრისტემ ჭეშმარიტად ზეციდან აიღო სინათლე და დედამიწაზე ჩამოიტანა – ადამიანის გარდამსახველი ჭეშმარიტების სინათლე და სიყვარულის ცეცხლი. მან მოიტანა სინათლე, და ჩვენ უკვე ვიცით ვინ არის ღმერთი და როგორია ღმერთი. ვიცით ასევე წუთისოფლის დამოკიდებულება ადამიანისადმი; ვინ ვართ ჩვენ და რისთვის ვარსებობთ. ადამიანის მონათვლა იმაზე მეტყველებს, რომ ამ სინათლის ცეცხლი ჩვენი გულების სიღრმეში დაეშვა. ამიტომაც უწოდებდნენ ანტიკურ ეკლესიაში ნათლისღებას ნათელმოფენის საიდუმლოს: ღვთის ნათელი ჩვენში შემოდის და ასე ვხდებით ნათლის შვილნი. ჩვენ არ გვინდა, რომ ჩაქრეს ჭეშმარიტების ეს ნათელი, რომელიც გზას გვიჩვენებს. გვინდა დავიცვათ იგი ყოველგვარი ძალისაგან, რომლებიც მის გამოცალკავებას ცდილობენ, რათა სიბნელე მოგვახვიონ თავს ღმერთზე და ჩვენს არსებაზე. დრო და დრო ამ სიბნელეში იქნებ კარგადაც ვგრძნობდეთ თავს; შემოიძლია საკუთარ თავს დავემალო და მთელი ცხოვრება ძილში გავატარო. თუმცა ჩვენ მოწოდებულნი ვართ ვიყოთ არა სიბნელეში, არამედ სინათლეში“.

სააღდგომო ჟამი გამორჩეული დროა ქრისტიანული ინიციაციის საიდუმლოთა (ნათლობა, მირონცხება, ექვარისტია) აღსასრულებლად, მათი ბუნებრივი ადგილია; ამ დღეს ორი ადამიანი ქრისტიანი გახდა, ხოლო ქობულეთის კათოლიკე მორწმუნეთა პატარა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო წმიდა წირვაში და პირველად ეზიარნენ; როგორც ქრისტე მოკვდა ერთხელ და სამუდამოდ ცოდვათა გამო, და აწ საუკუნოდ ცოცხლობს, ასე ინათლება და ეცხება მირონი ერთხელ და სამუდამოდ, ხოლო წმიდა ექვარისტის მოზიარება ყოველჟამიერად ხდება „ვიდრე დაბრუნდება“. ამ დღეს, ასევე შედგა ერთი წყვილის, ზრდასრული ასაკის მეუღლეთა ჯვრისწერა, ეს მაგალითი უნდა იყოს სხვა ქრისტიანებისთვის, რომლებიც ქორწინების საიდუმლოს გარეშე აგრძელებენ ცხოვრებას. სადღესასწაულო წუთები დადგა ჯვრის აღმართვით, რომელიც წირვის დასასრულს შესრულდა შენობის პატარა სამრეკლოს თავზე; ეს ჯვარი ეპისკოპოსმა აკურთხა ჩვენი რეგიონის ახალგაზრდების შეხვედრაზე 13-15 მარტს (მონაწილეობდა სამოცდაათამდე ახალგაზრდა, რომლებსაც ადგილობრივ ოჯახებში მასპინძლობდნენ, მადლობა მათ...), და გამოყენებული იქნა Via Crucis ლოცვაში. ოზურგეთში კათოლიკეთა შეხვედრის ადგილი უფრო



და უფრო მშვენიერება, და კმაყოფილებას თვით არაკათოლიკენიც გამოხატავენ, ამ სადა და სტუმართმოყვარე ეკლესიის მიმართ.

იგივე ლიტურგია აღესრულა ოთხი საათით ადრე ქ. ბათუმის ეკლესიაში, აქვე იყვნენ სოფ. შრომის საკრებულოს მორწმუნეებიც; შესრულდა ნათლობის და მირონცხების საიდუმლოებები (3); ერთი ყმაწვილი სოფელ შრომიდან, აღსარების შემდეგ პირველად ეზიარა ევქარისტიას; გულწრფელი მადლობა აჭარის ტელევიზიას იმისათვის, რომ მოამზადა სიუჟეტი კათოლიკურ აღდგომაზე, და ასევე ყველა მათგანს, ვინც ამ დღესასწაულით გაიხარა ამ ქალაქში და მთელს საქართველოში, რელიგიური მრწამსისა და რომის კათოლიკე ეკლესიასთან მათი კავშირის მიუხედავად.

ახალშენის საკრებულომ მთელი სისრულით განიცადა საპასეჟო სამდღეულის სიხარული: დიდ ხუთშაბათს (ფეხების დაბანვით), წითელ პარასკევს და საპასეჟო ცისკარზე; აღდგომის ორშაბათს ტრადიციულად ახლობლების საფლავებზე გავიდნენ, ამასთან დაკავშირებით სოფლის მრავალი მკვიდრი ჩამოვიდა; მიცვალებულთა სააღდგომო მოსაგონარი ერთად აღნიშნა კათოლიკე და მართლმადიდებელურმა ოჯახებმა, განსხვავებული ფორმით გამოხატულ, მაგრამ საერთო რწმენაში დაძმობილებულებმა. ამ წუთებმა მრავალი მოგონება აძღრა ჩვენში, ერთ-ერთი ასეთი ამ სოფელში ახალი ეკლესიის ინაუგურაციის საიუბილეო ათწლეულს უკავშირდება: რამდენ რამეს გვპირდებოდა ეს მშენებლობა და ეკლესიის კურთხევა: იგი უნდა ყოფილიყო საქართველოში კათოლიკეთა ახლადშობის ნიშანი; ალბათ ისიც უნდა ვიკითხოთ, თუ რამდენი დაპირება დარჩა მათ გულში, ვინც დიდი ძალისხმევა ჩაღო ამ სამუშაოში და ვინც სიხარულით იღებდა მონაწილეობას.

ქუთაისის საკრებულომაც განიცადა სააღდგომო სიხარულის ყოველი წუთი, გარდა სააღდგომო ცისკრისა. დიდი ხუთშაბათის საღმრთოწაულო წირვა დიდმარხვის დამაგვირგვინებელი დღე იყო მათთვის, ვინც დიდმარხვის კატეხიზაციები გაიარა, რომლის თემატიკა ეპისკოპოსის მიერ მომზადდა და ფერხობანვის შესტზე საუბრობდა. მართალია წირვის დროს ეს შესტი ვერ შესრულდა, მაგრამ მოხდა იმ წინსაფრის გადაცემა, რომელიც კათედრალში, მირონცხების წირვაზე, ეპისკოპოსისგან მიიღო ყველა მღვდელმა, და წირვის განმავლობაში მოძღვრის მიერ წინსაფრის ტარება მართლაც ძლიერი ხილული ნიშანი იყო; კონკრეტულ მსახურებას ავადმყოფთა, მარტოსულთა, გაჭირვებულთა მიმართ, ასევე შეგვახსენებდა ახლადნაკურთხი ზეთის მიღება მირონცხების წირვაზე... ამიტომაც ეცხება ქრისტიანს კათაკმეველის მირონი, რომ განმტკიცდეს და ებრძოლოს მას, რაც ხელს უშლის სიყვარულის გამო ჩადგეს სხვის მსახურებაში და ეცხება წმიდა მირონი, რომ თავისი ცხოვრება „მბრწყინავი და სურნელოვანი“ გახადოს ქრისტეს მაგალითით, რომელიც ღვთისა და მოყვასის ჭეშმარიტ მსახურად იქცა; წმიდა ევქარისტის თაყვანისცემა და იესოს ღოცვით ქრისტიანთა ერთობისათვის თანაზიარება გვიანობამდე გაგრძელდა „კარიტასის“ შენობაში, ამ წუთებმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა მსახურების მოვალეობა. აღდგომის დღის წირვაზე მორწმუნეებმა ნათლისღების აღთქმები განაახლეს, ხოლო ორმა ზრდასრულმა მორწმუნემ პირველი ზიარება მიიღო. აღდგომის ჟამს, გარდა იმისა, რომ მღვდელი სტუმრობს და აკურთხებს კათოლიკე ოჯახებს, ასევე აკურთხებს მორწმუნე მიცვალებულებულთა საფლავებსაც; აღდგომის მეორე დღეს – ორშაბათს ქალაქის სხვადასხვა კუთხეში მდებარე სასაფლაოებზე გავემართეთ; სიმართლე ითქვას ძალზე ცოტა იყო საფლავი ტრადიციული სააღდგომო ნიშნებით, მაგრამ საგალობლების ნოტებმა და ღოცვებმა ეს უკმარისობა ღირსეულად შეავსო.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ მართლმადიდებელ ეპისკოპოსს კალისტრატეს, რადგანაც ამ წელსაც, სრულიად უყოყმანოდ მიიღო

ჩვენი მოთხოვნა – გველოცა ღირსეული კათოლიკეების საფლავზე, მათ შორის, დონ დამიანე სააკაშვილისა, იმ ეკლესიის გვერდით მდებარე ბაღში, რომელიც იყო (და რჩება) კათოლიკურად, და ამჟამად ხარების ეკლესიად არის წოდებული.

დიდი მადლობა ჩვენს ხანდაზმულებს, ავადმყოფებს, სამუშაოს მიზეზით სხვაგან მყოფებს მორწმუნეებს, თავიანთი გულმხურვალე მოლოცვების გამო. აქვე შეუძლებელია არ გავიხსენო ჭარმაგი ქალბატონების მადლენასა და ემას დილაადრიანი სატელეფონო ზარები... იმ სურვილით, რომ ჩვენთან ერთად გაეზიარებინათ სააღდგომო სიხარული. იქნებ ეს ერთგვარი შესხენებაც არის ჩვენთვის, რათა მეტ გულისხმიერებას ვიჩენდეთ ჩვენი მოხუცებისა და ავადმყოფების მიმართ, ხოლო დიდი მაგალითი ჩვენი საკრებულოს ახალგაზრდებისთვის, რომლებმაც მიღებული რწმენის მადლი უნდა გააღვივონ და გააძლიერონ კავშირები ჩვენს ეკლესიასთან; მადლობა ასევე მათ, ვინც ადღგომის კვირას „წინსაფარს“ იღებდა იმისათვის, რომ საკუთარ კერაში კონკრეტულად აესახა ეკლესია „წინსაფრით“.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საყვედურს იმსახურებს ადგილობრივი ტელეკომპანია „რიონი“, რადგანაც მოცემულ დაპირებას გადაუხვია და მცირე მინიშნებაც კი არ გაუკეთებია კათოლიკურ ადღგომაზე; ისიც ნათელია, რომ ბევრისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია ინტერვიუს აღება შეყვარებულთა მფარველ წმ. ვალენტინოზე, ვიდრე ყველა ქრისტიანთათვის ესოდენ მნიშვნელოვან დღესასწაულზე – ადღგომაზე, და მით უფრო აქ, საქართველოში, ტრადიციულად ქრისტიანულ ქვეყანაში!

როგორი იყო ადღგომის დღე ჭიათურის კათოლიკურ საკრებულოში? საკრებულო ერთად ხარობდა კვირა საღამოს, როდესაც სამმა მოზარდმა, ინტენსიური მომზადების შემდეგ, ზიარება მიიღო; მომზადებას გადიან ასევე სხვა ახალგაზრდებიც.

და ბოლოს, აქვე მინდა გავიხსენო ყველა ის კათოლიკე, რომლებმაც ვერ შეძლეს წმიდა ადღგომის აღნიშვნა იმ მიზეზით, რომ ისეთ ადგილებში ცხოვრობენ, სადაც ჯერ კიდევ არ არის კათოლიკური საკრებულოები, ასეთებია ფოთი, ზუგდიდი, ზესტაფონი, ბაღდადი, თერჯოლა, ნიკორწმინდა, სენაკი...; ვინ იცის, იქნებ დადგეს დრო და ამ ადგილებშიც გაჩნდეს კათოლიკური საკრებულოები, ჩვენი მორწმუნეების თანამშრომლობითა და დაინტერესებით?

ის თესლი, რომლებიც ჩვენი მორწმუნეების გულებში და საკრებულოებში დაითესა (მეტადრე ქობულეთის საკრებულოში), წლევანდელი სააღდგომო დღესასწაულის წყალობით, მთლიანად შეიძლება გადავივდეს დვთის სადიდებლად და ერთი წმიდა ეკლესიის ასაგებად, როგორც საქართველოში, ასევე მთელ მსოფლიოში.

**მამა გაბრიელე ბრაგანტინი**

### **უფალი არასოდეს მიგვატოვებს!**

ადღგომა სწორედ ის დროა, როდესაც უნდა დავფიქრდეთ, გავიხსენოთ, თუ ვინ ვართ, საიდან მოვდივართ. ვიფიქროთ იმაზე, თუ რა სურს უფალს გვითხრას ჩვენი ცხოვრების გზაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ღმრთის სიტყვით მოსემ ებრაელი ხალხი ეგვიპტის ტყვეობიდან გამოიყვანა და თავისუფლება მიანიჭა, ამ მძიმე გზაზე ხალხი ხშირად ივიწყებდა ღმერთს, მოსეს საყვედურობდნენ, აგებდნენ კერპებს და მას სცემდნენ თაყვანს, მაგრამ როდესაც მისგან თანადგომასა და დახმარებას ვერ იღებდნენ, კვლავ მოსეს ღმერთს

უბრუნდებოდნენ. ებრაელი ხალხი ამგვარი ქმედებით სცოდავდა ღმერთს, მაგრამ უფალი მაინც გუღმომწყალე იყო და პატიობდა მათ.

ბოლოს, უფალმა დაიფიცა, რომ ეგვიპტიდან გამოსული არც ერთი ადამიანი აღთქმულ მიწაზე ფეხს ვერ დაადგამდა, მოსეც კი. მხოლოდ მათი შთამომავლები მივიდოდნენ ამ მიწაზე.

ნუთუ ახლაც იგივე არ ხდება? ადამიანები თავიანთი ცხოვრების მძიმე წუთებში ტოვებენ ღმერთს, არც ღმერთში ახსენდებათ და მადლობასაც არ უძღვნიან მას. თუ ებრაელები ღმერთს ხედავდნენ ცეცხლისა და ღრუბლის სახით, უფალმა ჩვენ თავისი ერთადერთი ძე გამოგვიგზავნა, ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად.

ჩვენ სწორედ ის ეგვიპტიდან გამოყვანილი ხალხი ვართ, ხოლო უდაბნოში მათ მიერ განვლილი გზა ჩვენი ცხოვრების გზაა. ეგვიპტის მონობა სწორედ გონების სიბნელეა, ხოლო აღთქმული მიწა – სამოთხე. და როგორ მივდივართ ჩვენ ამ ცხოვრების (ეგვიპტის) გზაზე? ღმერთმა ხომ თქვა: არავინ შევა აღთქმულ მიწაზე თუ მე გამშორდება და ვერავინ მოიპოვებს ცათა სასუფეველს, თუ არ შეასრულა უფლის ნება. აღდგომა სწორედ ის დროა, რომ დაგვიქრდეთ რისი თქმა სურს უფალს, იქნებ ღმერთი დაიღალა ჩვენი ურწმუნოებით, ჩვენი უმადურობით?! განსაცდელებს ღმერთი გვაძლევს, რათა შევიცნოთ იგი და დავინახოთ მისი ძლევამოსილება, გვიყვარდეს ის და ერთმანეთი. ღმერთისთვის ისაა მოსაწონი, რომ სხვადასხვა მრწამსის ხალხმა ერთად ილოცოს მის სახელში (ეკლესიაში).

აღდგომის პერიოდში გვინდა მადლობა ვუთხრათ ყველა მღვდელსა და მონაზონს, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობენ, მათ მიერ გაწეული ღვაწლისათვის, იმისათვისაც რისი გაკეთებაც გულით უნდოდათ და რაღაც მიზეზების გამო ვერ შეძლეს (დაუბრუნებელი და აუგებელი ტაძრები). გვახსოვდეს, ჯერ ჩვენ უნდა ავაგოთ და აღვადგინოთ ჩვენი სულის ტაძრები, ხოლო ამის შემდეგ ვიფიქროთ წართმეული ეკლესიების დაბრუნებაზე და ახლების აგებაზე. თუ ის ტაძრები ცარიელი ან ნახევრადცარიელი იქნება, როგორც ესაა, იცოდეთ, რომ უფალი იქ არაა.

ფართოდ გაუფლოთ უფალს ჩვენი გულის კარი, გვახსოვდეს, რომ ის არასოდეს მიგვატოვებს!

**ვენერა მანუკიანი**  
აბასთუმანი

სოციალური პრობლემები

### **უხიზელი და უშიშარი სიყვარულის ათი წელი ყველაზე გაჭირვებულთა შორის საქართველოს განადგურებულ ჯანდაცვაში**

სახელმწიფოსა და ადგილობრივი გამგეობების მხრიდან სრული იგნორირების პირობებში, გასულ 5 აპრილს აღინიშნა თბილისის პოლიკლინიკა „კაცთა მაცხოვარი“-ს არსებობის პირველი ათი წლისთავი.

ათი წელი გავიდა 1998 წლის 5 აპრილიდან, როდესაც საქართველოს ყველაზე უპოვარ მოქალაქეებს გაუღო კარი პოლიკლინიკამ მაშინდელი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ტაშითა და მისი უწმიდესობის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით.

პაპმა იოანე პავლე II-მ ინება ამ დაწესებულების გახსნა, საქართველოსადმი მისი სიყვარულის ხელშესახებ ნიშნად, საქართველოსადმი, რომელიც მაშინ ძალზე მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

დიდ მოლოდინს უკავშირებდნენ კამილიელები და წმიდა კამილოს ასულნი ამ დაწესებულებას და, უფლის შეწევნით, დიდი ნაწილი ამ მოლოდინისა განხორციელდა.

ამ ათი წლის მანძილზე სულ ცოტა ოცდაათიათასმა გაჭირვებულმა პიროვნებამ ჰპოვა ჩვენი თანმშრომლების გულისხმიერი, პროფესიონალური მოპყრობა, ყურადღება და მოვლა.

ამაოა იმის უარყოფა, რომ კმაყოფილებისა და სიამაყის გრძნობას იზიარებს სამოცდაათი ექიმი და მედმუშაკი, პოლიკლინიკის კოლექტივს რომ შეადგენს. ისინი დიასაც რომ კონკრეტულად გამოადგინენ სამშობლოს.

წლების მანძილზე გაიზარდა სამედიცინო მომსახურების სფერო, ხალხის მზარდი მოთხოვნილებისა და საჭიროების შესაბამისად; 2004 წლიდან ამოქმედდა მცირე, მაგრამ ეფექტური არასტაციონარო, რომელიც ემსახურება ოცდაათიოდე ახალგაზრდა ინვალიდს.

მშენებლობის პროცესშია სამიათასი კვ. მეტრი ფართის ახალი სტაციონარული და არასტაციონარული ცენტრი, სადაც, იმედი გვაქვს, შევძლებთ გავუზიაროთ ინვალიდებს ის ყურადღება და სიყვარული, რაც ძალზე ხშირად აკლია მათ.

ყოველივე ეს აღმოცენდა იმ მუდმივი გულისხმიერი ურთიერთობიდან, რომლის მეშვეობითაც პოლიკლინიკის ადმინისტრაცია სწავლობდა საზოგადოებრივ და ჯანდაცვის სფეროს მოთხოვნებს, დღითი დღე რომ იჩენდა თავს და რომლებიც, იშვიათად, და მხოლოდ ნაწილობრივ, ჰპოვებდა სახელმწიფოს მხრიდან პასუხს.

დიდია ჩვენი იმედგაცრუება იმის გამო, რომ მიუხედავად ჩვენი საქმიანობისა და უდიდესი ძალისხმევისა (სხვათა შორის, ფინანსურისაც), სამთავრობო დონეზე ძალზე ცოტა გააკეთდა იმისათვის, რომ ამ ქვეყანას ჰქონოდა მინიმალური ჯანდაცვა მაინც, რომელიც ყველაზე მეტად გაჭირვებულთა მოთხოვნებს გასცემდა პასუხს.

უფრო მეტიც, გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი საქმიანობით, რაოდენ მცირეც არ უნდა იყოს ის, „საქართველოს კარიტასისა“ და სხვა მრავალ ჰუმანიტარულ-საქველმოქმედო დაწესებულებათა წამოწყებებთან ერთად, იმის ნაცვლად, რომ ხელი შეგვეწყო სახელმწიფო ორგანიზაციების ამოქმედებისათვის, კიდევ უფრო უმოქმედოვყავით ისინი, იმის გამო, რომ თუკი სახელმწიფოს ბევრი არა შეეძლო რა, ყოველთვის გამოჩნდებოდა ვინმე, ვინც იბრუნებდა ყველაზე დარბთა და უმწეოთა პრობლემებზე.

ეჭვი არაა, რომ გულუხვ ქველმოქმედთა მრავალი ჯგუფის შრომამ მთავრობას ააცილა უამრავი სამართლიანი საპროტესტო ქარიშხალი და ამ წლების მანძილზე ჩავლილ ჯანდაცვის მინისტრებს შეეძლოთ უფრო მშვიდი ძილით სძინებოდათ, მაგრამ ამგვარად უსასრულოდ ვერ გაგრძელდება და, ალბათ, ხალხის უკმაყოფილების საშიში ნიშნები იჩენს თავს.

მაგრამ თუ ვინმე წარმოიდგენს, რომ მთავრობის მხრიდან ადგილი ჰქონდა რაიმე, სულ მცირეოდენ მაინც, მაღლიერების გრძნობის გამოხატვას ამ ჰუმანიტარული ორგანიზაციების მიმართ, ძლიერ შეცდება. ვიშრომეთ საზოგადოებრივი სტრუქტურების მხრიდან სრული იგნორირების პირობებში.

ჯანდაცვის სამინისტრო საერთოდ არ დაინტერესებულა გაეოლეებინა ჩვენი სამუშაო, უფრო მეტიც – მაღლიერებაც კი არ გამოუხატავს.

რამოდენიმე წლის წინ ჯერ კიდევ არსებობდა საკოორდინაციო ცენტრი, სადაც შეგეძლო წარგედგინა წარმოქმნილი პრობლემები და გეცადა გადაგეწევიტა ისინი, მაგრამ ეს ცენტრი გაუქმდა და არც შემცველი შემოუთავაზებიათ.

მრავალი წელია, რაც აღარ გვიძახიან ჯანდაცვის „დროებით“ მინისტრთან, მაშინ, როცა ადრე ხანადხან ხდებოდა სამინისტროში სხვადასხვა

მოხელეებთან შეხვედრები; თუმცა-კი ეს კრებები სრულებით უსარგებლო იყო, იმის გამო, რომ არცერთ მათგანს მინისტრი არ დასწრებია, მოუცვლელობის გამო (რა საქმით იყო დაკავებული, შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ნამდვილად არ ვიცით) და პრობლემათა გადაწყვეტაში მოხელეთა სრული უუნარობის გამო.

ამ კრებებზე პირში მაინც ეუბნებოდი გულში დაგროვილ ბოღმას, იმის გამო, რომ იგნორირების პირობებში გვიწევდა მუშაობა და ხშირად ისეთი კანონების ჯვარზე გვაცვამდნენ, რომლებსაც ქმნიდნენ სრულებით არაკომპეტენტური ადამიანები, ხალხის ძირითად პრობლემებს რომ არ იცნობდნენ, იმ ხალხისა, რომელიც კარგს აღარაფერს მოელოდა.

დღესდღეობით არც ერთ ჩვენგანს არ ატყობინებენ, იმის შესახებ თუ როგორ გამოიყურება ჯანდაცვის სახვალიო გეგმები, ფინანსები, თუკი არსებობს საერთოდ ამგვარი.

ისღა დაგვრჩენია კვლავ სხვისი გასაკეთებელი საქმე ვაკეთოთ (არავინ იცის როდემდე გაგრძელდება ეს საგანგებო მდგომარეობა ჯანდაცვასა და სოციალურ სფეროში) და ყოველდღიურად ვუცქიროთ ყველაზე დარიბი ხალხის კაემანს, სასოწარკვეთილი რომ მოგემართავს სამინისტროებიდან უარით გამოსტუმრებული.

მიუხედავად ამისა, იმედი არ უნდა გადავიწუროთ და წინ გავიხედოთ უკეთესი მომავლისაკენ.

ამასობაში კი, 5 აპრილს, „კაცთა მაცხოვარის“ კოლექტივი ესტუმრა ბოდბეს წმ. ნინოს საფლავის მოსალოცად, რათა საქართველოს წმიდა მფარველისაგან ეთხოვა უკეთესად შრომის უნარი და, ამავე დროს, მაღლი ჩვენი მთავრობის მრავალი უგრძნობი მოხელის გულის გასაცოცხლებლად.

აქვე მოგვყავს ამ პირველი ათწლეულის ამსახველი მშრალი სტატისტიკური ციფრები, რათა მაღლობა მივუძღვნათ ღმერთს გაკეთებულისათვის, მიუხედავად ჩვენი მნიშვნელოვანი და გარდაუვალი ნაკლოვანებებისა, რათა სანდო ინფორმაცია მივაწოდოთ მათ, ვინც ზრუნავს ჩვენთვის და ჩვენი საქმიანობისათვის, და რათა დაფიქრდეს ის, ვისაც ხელში უპყრია ჩვენი ქვეყნის ჯანდაცვა და ბედი.

10 წლის განმავლობაში სპეციალისტებთან ვიზიტები:

სტომტოლოგი – 25274, მეანი და გენეკოლოგი – 26117, ორთოპედი – 8613, თერაპევტი – 63302, ენდოკრინოლოგი – 10398, დერმატოლოგი – 29939, ქირურგი – 12222, კარდიოლოგი – 49371, უროლოგი – 13942, პულმონოლოგი – 15108, პედიატრი – 12685, ოტოლარინგოლოგი – 27285, ოკულისტი – 31052, ნევროპათოლოგი – 17182, ფსიქიატრი – 5352, ფიზიოთერაპია – 22845, ფსიქოთერაპევტი – 7441 (სულ – 395310).

დიაგნოსტიკა:

ენდოსკოპია – 3150, ექოსკოპია – 33666, რენტგენი – 17219, ლაბორატორიული ანალიზი – 128815 (სულ – 182850).

ერთდღიანი სტაციონარი, დასწრების დღეების რაოდენობა – 17730.

ბინაზე მომსახურება:

ღარიბ ოჯახებში ვიზიტის რაოდენობა – 30830, ოჯახები, რომელთაც გაეწიათ ერთჯერადი დახმარება – ათასობით, მუდმივი დახმარება – 250 ოჯახი, სამედიცინო მომსახურება – 2219.

შვილად აყვანა დისტანციაზე – წელიწადში საშუალოდ 300 ბავშვი (10 წელიწადში ათასობით).

ჰუმანიტარული დახმარების მრავალი კონტეინერი (განაწილებული).

მამა ივან მარტინი  
ამბულატორიის დირექტორი

*ქადაგება.*

*წითელი პარასკევი - 21.03.2008წ.*

*წმ. პეტრეს ბაზილიკა რომში*

**„კვართი არ იყო შეკერილი“**

„ჯარისკაცებმა ჯვარს რომ აცვეს იესო, აიღეს მისი სამოსელი და გაყვეს ოთხ ნაწილად. თითოეულ ჯარისკაცს შეხვდა თავისი წილი და კვართი. კვართი არ იყო შეკერილი, თავიდან ბოლომდე ნაქსოვი იყო. უთხრეს ერთმანეთს: „ნუ დავხვეთ, წილი ვყაროთ მასზე. ვნახოთ, ვის შეხვდება“. რათა აღსრულებულიყო წერილი: გაინაწილეს ჩემი სამოსელი და წილი ჰყარეს ჩემს ტანსაცმელზე“ (იოან. 19, 23-24).

ყოველთვის გვაინტერესებდა, თუ რაზე მიანიშნებდა მახარობელი ამ ეპიზოდით.

ერთ-ერთი ბოლოდროინდელი განმარტებით, კვართი მღვდელმთავრის სამოსია და ამიტომაც განაცხადა იოანემ, რომ იესო მოკვდა არა ოდენ ვითარცა მეფე, აგრეთვე ვითარცა მღვდელმთავარი. ბიბლიაში კი არაფერია ნათქვამი მღვდელმთავრის კვართზე, რომელიც შეკერილი არ უნდა ყოფილიყო (მძრ. ეს. 28, 4; ლევ. 16, 4). ამიტომაც ყველა ცნობილი ეგზეგეტი ამჯობინებს ტრადიციული განმარტებისაგან თავშეკავებას, რის მიხედვითაც კვართი *inconsutile* სიმბოლოა ეკლესიის ერთიანობისა.

რა სახის ახსნა-განმარტებაც არ უნდა მოგვცეს ტექსტმა, ერთ რამ ცხადია: მოციქულთა ერთიანობა, და მათი მეშვეობით მთელი კაცობრიობისა, იოანე მახარობლისთვის ის მიზანია, რის გამოც კვდება იესო: „იესო ერისთვის მოკვდებოდა... იმისთვის, რომ ღვთის გაფანტული შვილები შეეკრიბა ერთად“ (იოან. 11,51-52). უკანასკნელ სერობაზე მან თავად განაცხადა: „მე მხოლოდ ამათზე არ გევედრები, არამედ იმათზეც, ვინც ჩემი მოწამენი იქნებიან თავიანთი სიტყვით. რათა ყველანი ერთი იყოს, როგორც შენ ჩემში, მამაო, მე კი – შენში, რათა ისინიც იყვნენ ჩემში, რათა ირწმუნოს წუთისოფელმა, რომ შენ მომავლინე“ (იოან. 17, 20-21).

*კეთილი ამბავი*, რომელიც წითელ პარასკევს უნდა გაცხადდეს, არის ის, რომ ერთობა, ვიდრე თავის საბოლოო მიზანს მიაღწევდეს, ჯერ გასაზიარებელი მადლია. ის რომ კვართი შეკერილი ყოფილა „ხემოდან ქვემოთ“, წერდა წმ. კვიპრიანე, ეს იმას ნიშნავს, რომ „ქრისტეს მიერ დაწყებული ერთიანობა ზეციდან მოდიოდა, ზეციური მამისგან, და ამიტომაც არ შეიძლება იგი გათიშული იყოს მისგან, ვინც იღებს, არამედ მთლიანად უნდა იქნეს მიღებული“. ჯარისკაცებმა ოთხად გაყვეს „სამოსელი“ ანუ „მოსასხამი“ (*ta imatia*), ანუ იესოს გარეთა ჩასაცმელი, არა კვართი, რომელიც მისი შიდა ჩასაცმელი იყო და რაც მის სხეულს ეკვროდა. ესეც ერთგვარი სიმბოლოა. ჩვენ, ადამიანებს შეგვიძლია ეკლესია გავყოთ ადამიანურ და ვიზუალურ ელემენტად, მაგრამ არა იმ სიღრმეში, რომელიც თავის თვითყოფადობას სული წმიდით ახდენს. ქრისტეს კვართი არასოდეს ყოფილა და ვერც იქნება გათიშული. ეს ის რწმენაა, რომელსაც სიტყვებით ვადიარებთ: „მწამს ეკლესია, ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო“.

\*\*\*

მაგრამ ერთობა უნდა იყოს ნიშანი „რათა ირწმუნოს წუთისოფელმა“, იგი უნდა იყოს ხილული ერთობა. სწორედ ეს ერთობა დაიკარგა და ჩვენ უნდა

ვიპოვოთ. ეს ერთობა იმაზე უფრო ძლიერია, ვიდრე კარგი სამეზობლო კავშირები; იგივე ერთობა, შინაგანი მისტიკა, რამდენადაც მიღებული, განცდილი და გაცხადებულია მორწმუნეთა მიერ: „ერთი ხორცი, ერთი სული, ერთი იმედი, ერთი უფალი, ერთი რწმენა, ერთი ნათლისღება, ერთი მამა ღმერთი ყოველთა“ (ეფ. 4, 4-6). ერთობა, რომელსაც არ სჭირდება კომპრომისი პლურიფორმიდან, არამედ მასში გამოიხატება.

აღდგომის შემდეგ მოციქულები ასე ეკითხებოდნენ იესოს: „ამ ხანებში ხომ არ აღუდგენ, უფალო, ისრაელს სამეფოს?“ დღეს ჩვენ ამავე კითხვით ხშირად ღმერთს მივმართავთ: „ამ ხანებში ხომ არ აიგება ეკლესიის ხილული ერთობა?“ პასუხიც იმუამინდელია, უცვლელი: „თქვენი საქმე არ არის, იცოდეთ, დროები ან ვადები, რომელიც მამამ დაადგინა თავისი ხელმწიფებით. არამედ თქვენ მიიღებთ ძალას, როდესაც გადმოვა სული წმიდა თქვენზე და იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალიმში, მთელს იუდეასა და სამარიაში და ქვეყნის კიდემდე“ (საქ. 1, 6-8).

ეს წმიდა მამამაც გაიხსენა გასული წლის 25 იანვარს წმ. პავლეს ბაზილიკაში წარმოთქმულ ქადაგებაში ქრისტიანთა ერთობის კვირეულის დასასრულს. „ერთობა ღმერთთან და ჩვენს დაძმებთან, – ამბობდა იგი, – ზეციდან წამოსული მადლია, რომელიც მამას, ძესა და სული წმიდას შორის გამეფებული სიყვარულიდან მომდინარეობს და რომელიც მასში ღვივდება და სრულქმნილი ხდება. ჩვენ არ შეგვწევს ძალა თავად გადავწყვიტოთ როდის ან როგორ განხორციელდება მთელი სისრულით ეს ერთობა. ეს ოდენ ღმერთს ძალუძს! წმიდა პავლეს კვალზე, ჩვენც ვსასობთ და ვენდობით ღვთის წყალობას, რომელიც ჩვენი ქომაგია“.

დღესაც, ამ ერთობაში სწორედ სული წმიდა წაგვიყვანს, თუკი წინ გავიმძღვარებთ. როგორ მოახდინა სული წმიდამ ეკლესიის პირველი ფუნდამენტური ერთობა იუდეველებსა და წარმართებს შორის? იგი დაეშვა კორნელიუსზე და მის სახლზე იმ ფორმით, როგორც სულთმოფენობისას მოციქულებზე; და პეტრესაც ისღა დარჩენოდა, რომ ეთქვა: „თუკი ღმერთმა ისეთივე ნიჭი მისცა მათ, როგორც ჩვენ, რომელთაც ვირწმუნეთ უფალი იესო ქრისტე, მე ვინ ვიყავი, რომ შემძლებოდა წინ აღვდგომოდი ღმერთს“ (საქ. 11, 17). ამ მხრივ, ამ საუკუნეში მრავალგზის ვიხილეთ ეს სასწაული, მსოფლიო მასშტაბით. ღმერთმა თავისი სული სრულიად ახლებურად და უჩვეულოდ მოჰფინა მილიონობით მორწმუნეს, რომლებიც სხვადასხვა ქრისტიანულ დენომინაციას მიეკუთვნებიან, და ეჭვები რომ არ აღძრულიყო მის განზრახვებზე, მსგავსი, იდენტური ფორმებით მოჰფინა. განა ეს არ არის ნიშანი, რითაც სული წმიდა გვაგულიანებს, რომ ერთმანეთი ქრისტეს მოწაფეებად მივიღოთ და ერთად ვისწრაფოთ ერთობისკენ?

ცხადია, მხოლოდ ეს სულიერი და ქარიზმატული ერთობა არ კმარა. და ამას აშკარად ვხედავთ ჯერ კიდევ ეკლესიის სათავეებში. ერთობა იუდეველებსა და წარმართებს შორის ახლახანს შედგა და მას უკვე სჭიზმა ემუქრება. ე.წ. იერუსალიმის კრებაზე „დიდხანს იკამათეს“ და საბოლოოდ შეთანხმდნენ იმაზე, რაც ეკლესიებს შემდეგი ფორმულით აუწყეს: „მართებულად მიიჩნია სულიწმიდამ და ჩვენც“ (საქ. 15, 28).

სული წმიდა, მაშასადამე, სხვა გზებითაც მოქმედებს, რომელიც არის მომთმენი ნუგეში, დიალოგი და თვით კომპრომისები მხარეებს შორის, თუკი საფრთხის ქვეშ არ დგება თავად სარწმუნოების არსი. იგი მოქმედებს იესოს მიერ ამოქმედებული ადამიანური „ფორმებით“ და „მსახურებით“, განსაკუთრებით სამოციქულო და პეტრეს მემკვიდრის მსახურებაში. და ჩვენ სწორედ ამას ვეძახით დღეს სამოძღვრო და საინსტიტუტო ეკუმენიზმს.

\*\*\*

ხოლო სამოძღვრო ეკუმენიზმი, ანუ კრებებიდან გამომდინარე, საკმარისი არაა და ვერ განვითარდება, თუ არ ახლავს სულიერი ეკუმენიზმი. ჩვენ მთელი ძალისხმევით ვუმეორებთ ამას საინსტიტუციო ეკუმენიზმის მამამთავრებს. ქრისტიანთა ერთობის ლოცვის კვირეულის ასწლოვან იუბილზე (1908-2008), ჯვრის ფერხთა ქვეშ დავფიქრდეთ სულიერ ეკუმენიზმზე: რაში მდგომარეობს იგი და როგორ შეგვიძლია მასში დაწინაურება?

სულიერი ეკუმენიზმი მონანიებიდან და მიტევებიდან იბადება და ლოცვებით საზრდოობს. 1977 წელს კანზას-სიტის (მისურის შტატი) ეკუმენურ კონგრესში ვმონაწილეობდი. აქ დაახლოებით ორმოციათასამდე დამსწრე იყო, ნახევარი კათოლიკეები (მათ შორის კარდინალი სუენენსი) და ნახევარი სხვა ქრისტიანული დენომინაციებიდან. ერთ საღამოს, მიკროფონთან ერთ-ერთმა ანიმატორმა საუბარი იმგვარად დაიწყო, რაც იმ დროს ცოტა უცნაურად მომეჩვენა: „თქვენ მღვდლები და მწყემსები, ტირიხართ და მოთქვამთ, რომ ჩემი ძის სხეული გაპობილია... თქვენ ერისკაცნო, დედაკაცებო და მამაკაცებო, ტირიხართ და მოთქვამთ, რომ ჩვენი ძის სხეული გაპობილია“.

ვხედავდი ადამიანებს, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით მუხლებზე ვარდებოდნენ ჩემს ირგვლივ, მრავალი აქვითინდა ღრმა სინანულით ქრისტეს სხეულში გათიშულობის გამო. და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც სტადიონზე ფრიალებდა პლაკატი წარწერით: „Jesus is Lord, იესო უფალია“. მეც იქ ვიყავი, როგორც დამკვირვებელი, მკაცრი და კრიტიკული, მახსოვს რაც იმ წუთში გავიფიქრე: თუკი ერთ მშვენიერ დღეს, ყველა მორწმუნე შეიკრიბება ერთი ეკლესიის ასაგებად, ასე იქნება: ყველანი მუხლებზე დავეცემით, გულშემუსრულნი და დამდაბლებულნი, ქრისტეს მეუფების ქვეშ.

თუკი მოწაფეთა ერთობა მამასა და ძეს შორის ერთობის ანარეკლი უნდა იყოს, იგი უწინარესად სიყვარულის ერთობა უნდა იყოს, რადგანაც სწორედ ასეთი ერთობა სუფევს სამებაში. წმიდა წერილი მოგვიწოდებს: „აკეთეთ ჭეშმარიტების სიყვარულით“ (ეფ. 4,15). წმ. ავგუსტინე აცხადებს, რომ „ჭეშმარიტებაში მხოლოდ სიყვარულით შევალთ“.

ყველაზე უცნაური სიყვარულზე დაფუძნებული ერთობის ამ გზაზე ის არის, რომ იგი უკვე ფართოდ გადაშლილია ჩვენს წინ. ჩვენ ვერ „დავწვათ იმ საფეხურებს“, რაც მოძღვრებაშია, ვინაიდან განსხვავებები არსებობს და მხოლოდ მოთმინებით გადაჭრიან მათ სათანადო ადგილებზე. ჩვენ შეგვიძლია საფეხურები სიყვარულში დავწვათ და ერთობაში ამ წუთიდანვე ჩავდგეთ. უტყუარი და ურყევი ნიშანი სულიწმიდის მოსვლისა, როგორც წმ. ავგუსტინე წერს, არ იქნება სხვადასხვა ენაზე ლაპარაკი, არამედ სიყვარული ერთობაში: „იცოდეთ, რომ გაქვთ სულიწმიდა როდესაც ისურვებთ, რომ თქვენი გულები შეერთდეს ერთობაში გულწრფელი სიყვარულით გზით“.

კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ წმ. პავლეს სიყვარულის ჰიმნზე. ყოველი მისი ფრაზა ქმედით და ახლებურ დატვირთვას იძენს, თუკი მას განსხვავებული ქრისტიანული ეკლესიების წევრებს შორის სიყვარულში გადმოვცემთ, ეკუმენური კავშირებით:

„სიყვარული სულგრძელია...

სიყვარულს არ შურს....

თავისას არ ეძიებს (ანუ საკუთარი ეკლესიის ინტერესს).



არ განიზრახავს ბოროტს (ანუ სხვაზე მიყენებულ ბოროტებას!).

არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს (ანუ ხარობს არა სხვა ეკლესიების განსაცდელით, არამედ მათი სულიერი წარმატებით).

ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს და ყოველივეს ითმენს“ (1კორ. 13,4)

ამ კვირას უფლის სავანეს მივაბარეთ დიდებული ქალბატონი კიარა ლუბინი, ფოკოლარების მოძრაობის დამაარსებელი. იგი სიყვარულის სულიერი ეკუმენიზმის პიონერი და ნიმუში გახლდათ. მან აჩვენა, რომ ერთობის ძიება ქრისტიანთა შორის კარს არ უხურავს დანარჩენ მსოფლიოს, პირიქით, ეს არის პირველი ნაბიჯი და უფრო ღრმა დიალოგის პირობა სხვა რელიგიების მორწმუნეებთან და ყველა ადამიანებთან, ვისთვისაც მთავარია კაცობრიობისა და მშვიდობის სვე-ბედი.

\*\*\*

„ამბობენ, რომ სიყვარული არ გულისხმობს ერთმანეთის ყურებას, არამედ ერთი მიმართულებით ყურებას“. თვით ქრისტიანებს შორის, სიყვარული ნიშნავს იმ მიმართულებით მზერას, რომელიც არის ქრისტე. „ის არის ჩვენი მშვიდობა“ (ეფ. 2, 14). თუკი ქრისტეში მოვიქცევით და ერთად გავეშურებით მისკენ, ჩვენ, ქრისტიანები შევძლებთ ურთიერთდაახლოებას, და მხოლოდ ასე გავხდებით მისი ნებისამებრ „ერთი მასში და მამაში“. ეს პროცესი ბორობლის სხივებს გავს, რომლებიც ერთი დიდი წრიდან გადიან გარკვეული დისტანციით და რაც მეტად უახლოვდებიან ცენტრს, ერთმანეთსაც უახლოვდებიან, ბოლოს კი ერთ წერტილს ქმნიან.

ის, რამაც შეიძლება შეკრიბოს გათიშული ქრისტიანები, მხოლოდ მათში სული წმიდის ძალით გავრცელებული ქრისტეს სიყვარულის ახლებური ტალღა იქნება. სწორედ ეს ხდება ამჟამად ქრისტიანობაში, და ეს გვანცვიფრებს და იმედს გვისახავს. „ქრისტეს სიყვარულით ვართ მოცულნი, როცა ასე ვმსჯელობთ, თუ ერთი მოკვდა ყველასთვის, ყველანი დაიხოცნენ“ (2კორ. 5,14). სხვა ეკლესიის მოძმე, – უფრო მეტიც, ყოველი ადამინი, – ისაა „ვისთვისაც მოკვდა ქრისტე“ (რომ. 14, 15), ისე როგორც მოკვდა ჩემთვის.

\*\*\*

ამ გზაზე წინსვლაში უნდა დაგვეხმაროს ერთი მოტივი. მესამე ათასწლეულის დასაბამში აქტიური აღარაა ის, რაც მეორე ათასწლეულში იყო, როდესაც აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთმანეთში გაიყო; არც ის, რაც ამავე ათასწლეულის ნახევარში, როდესაც კათოლიკობა და პროტესტანტიზმი გაიყო. შეგვიძლია დღეს განვაცხადოთ, რომ დღევანდელ ადამიანს აწუხებს ის პრობლემა, თუ რომელია ზუსტი ფორმა მამისაგან სული წმიდის გამოსვლისა ან როგორ ხდება ბოროტის გამართლება? მსოფლიო წინ მიიწევს, ჩვენ კი ვერ დავრჩებით იმ პრობლემებში და ფორმულებში, რის მნიშვნელობასაც უკვე მსოფლიო აღარ სცნობს.

შუასაუკუნეების ჯარში დგებოდა მომენტი, როდესაც ქვეითების, მშვიდდოსნების და ცხენოსნების დაძლევის შემდეგ, თავიანთი მეფის გარშემო იკრიბებოდნენ. იქ წყდებოდა საბოლოო შეჯახების გეგმა. ჩვენთვისაც ასეა, დღეს ჯარი მეფის ირგვლივ არის. არსებობს იმგვარად ნაგები შენობები ან მეტაღის სტრუქტურები, რომ თუკი მის რომელიმე წერტილს შეეხები, ან რომელიმე ქვას გამოაცლი, ერთიანად დაინგრევა. ქრისტიანული რწმენის

ნაგებობაში ეს ქვაკუთხედი არის ქრისტეს ღვთაებრიობა. თუკი მას გამოვაცლით, ყველაფერი ჩამოინგრევა, ყველაზე ადრე კი სამების რწმენა.

აქედან გამომდინარე, იკვეთება ეკუმენიზმის ორი რეალური ფორმა: რწმენის ეკუმენიზმი და ურწმუნოების ეკუმენიზმი; ერთი, რომელიც აერთიანებს ყველას, ვისაც სწამს, რომ იესო არის ძე ღვთისა, რომ ღმერთი არის მამა, ძე და სული წმიდა და რომ ქრისტე მოკვდა ყოველი ადამიანის გადასარჩენად და მეორე, რომელიც აერთიანებს ყველას, რომლებიც ნიკეას კრების სულისკვეთებით, კვლავაც აცხადებენ ამ ფორმულებს, მაგრამ მას ნამდვილ არსს აცლიან. ეკუმენიზმი, რომელშიც ყველა ერთსა და იგივეს ფიქრობს, რადგანაც უკვე აღარავის სწამს იმ გაგებით, რასაც სიტყვა „მორწმუნე“ გულისხმობს ახალ აღთქმაში.

„ვინ არის წუთისოფლის მძღვეველი, თუ არა ის, ვისაც სწამს, რომ იესო არის ძე ღვთისა? (1იოან. 5,5). ამ საწყაულით, ძირითადი განსხვავება ქრისტიანთა შორის არ მდგომარეობს კათოლიკობაში, მართლმადიდებლობასა და პროტესტანტიზმში, არამედ მათ შორის, ვისაც სწამს, რომ ქრისტე არის ღვთის ძე და ვისაც არ სწამს ეს.

\*\*\*

„ღარიოს მეფის მეორე წელს, მეექვსე თვის პირველ დღეს იყო უფლის სიტყვა ანგია წინასწარმეტყველის ხელით იუდას გამგებელ ზერუბაბელ შეაღთიელის ძის და მღვდელმთავარ იესო იეპოცადაკის ძის მიმართ: იმის უამი კი არის, რომ გადახურულ სახლებში ისხდეთ, ეს სახლი კი მიგდებულ იყოს?“ (ანგ. 1, 1-4).

წინასწარმეტყველ ანგიას ეს სიტყვა დღეს ჩვენდამია ნათქვამი. არის კი ეს უამი, რომ კვლავ ვწუხდეთ მხოლოდ იმაზე, რაც ჩვენს რელიგიურობას, ჩვენს მოძრაობას, ან ჩვენს ეკლესიას შეეხება? იქნებ ამის გამოა, რომ ჩვენც „ბევრს ვთესავთ, მაგრამ ცოტას ვიმკით“? (ანგ. 1, 6). ვქადაგებთ და ძალებს არ ვზოგავთ, მაგრამ წუთისოფელი, იმის ნაცვლად რომ ქრისტეში მოიქცეს, პირიქით, მას შორდება.

ისრაელის ხალხმა ისმინა წინასწარმეტყველის ხმა. ყოველი კაცი შეეშვა საკუთარი სახლის გალამაზებას, რათა ერთად აეგოთ ღვთის ტაძარი. მაშინ ღმერთმა ისევ მიაგვლინა თავისი წინასწარმეტყველი მანუგემბელი და გამამხნევებელი უწყებით, რისი მიღება არც ჩვენ გვაწყენდა: „ახლა გამაგრდი ზერუბაბელ! – ამბობს უფალი, – გამაგრდი იესო იეპოცადაკის ძეც, მღვდელმთავარო! მთელი ქვეყნის ერთ! – ამბობს უფალი, და იშრომეთ, რადგან თქვენთან ვარ“ (ანგ. 2,4). გამაგრდით, თქვენ ყველანი, ვისაც გულისხმობს მიგაქვთ ქრისტიანთა ერთიანობა, და იშრომეთ, რადგან მე თქვენთან ვარ, – ასე ამბობს უფალი!

აუტორი?

ინფორმაცია

## ტურიზის სუდარა

### კონფერენცია ღიუმას ცენტრში

სულხან-საბა ორბელიანის სახ. თეოლოგიისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის, კერძოდ კი, ამ სასწავლებლის პროფესორის პიერ დიუმულის პირადი მოწვევით საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ტურიზის სუდარის

ოფიციალური ფოტოგრაფი ალდო გუარესკი, რომელმაც თბილისში, ბათუმში, ახალციხესა და ქუთაისში საჯარო ლექციები ჩაატარა. ალდო გუარესკი უკვე თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტია რაც ტურინის სუდარის ოფიციალურ ფოტოგრაფს წარმოადგენს, იგი ამ ხანგძლივი დროის მანძილზე მრავალი საინტერესო აღმოჩენის მოწმე გახდა. სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა სფეროს წამყვანი სპეციალისტები ათწლეულების მანძილზე ტექნიკის უახლესი აპარატურების საშუალებით იკვლევდნენ ტურინის სუდარის საიდუმლოს. ამ ხნის მანძილზე ტურინის სუდარაში გახვეული ადამიანის სისხლის შემადგენლობაც იქნა გამოკვლეული და კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით მისი სამგანზომილებიანი გამოსახულებაც შეიქმნა, სუდარაზე შემთხვევით მოხვედრილი მცენარეთა ყვავილის მტკერის წარმომავლობაც დადგინდა და სუდარაზე დარჩენილი ნელსაცხებლის ფორმულაც ამოხსნეს. ალდო გუარესკი ყოველივე ამ კვლევის მოწმე და ფირზე აღმბეჭდავი გახლავთ, სწორედ ამიტომაც საინტერესო მისი მონათხრობის მოსმენა და ფოტოების გაცნობა.

წლების განმავლობაში ალდო გუარესკიმ, პიერ დიუმულენთან ერთად, ტურინის სუდარის კვლევისადმი მიძღვნილი საჯარო ლექციებით ევროპის მრავალი ქალაქი მოიარა. უკანასკნელ წლებში დიდი დაინტერესება ამ ლექციებისადმი უკვე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი რუსეთში იგრძნობა. არ დარჩენილა რუსეთის დიდი ქალაქების უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, სადაც არ ჩატარებულიყოს ტურინის სუდარისადმი მიძღვნილი საჯარო შეხვედრები. ამ რამოდენიმე წლის წინ პროფესორმა პიერ დიუმულენმა თბილისის ალ. დიუმას ფრანგული კულტურის ცენტრში მოაწყო მსგავსი კონფერენცია, სადაც ტურინის სუდარის შესახებ საინტერესო ინფორმაციას პირველად გაეცნო თბილისის საზოგადოება, და ამ შეხვედრაზე გულგრილი არავინ დარჩენილა პიერ დიუმულენის ემოციური და დამაჯერებელი თხრობისა და წარმოდგენილი ვიზუალური მასალის გამო. თუმცა დარბაზის სიმცირის და გამო ყველა მსურველმა, ცხადია, ვერ შეძლო დასწრებოდა ამ კონფერენციას. ვინაიდან საზოგადოებაში დიდი იყო ინტერესი, უფრო მეტი შეეცოთ ტურინის სუდარის შესახებ, გადაწყდა კვლავ, ოღონდ უფრო ფართო მასშტაბით და თავად ოფიციალური ფოტოგრაფის ალდო გუარესკის მონაწილეობით, გამართულიყო საჯარო ლექციები.

10 და 11 აპრილს თბილისის დიუმას კულტურის ცენტრში და 12 აპრილს ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების სახლის სააქტო დარბაზში ალდო გუარესკი და პროფესორი პიერ დიუმულენი ფართო საზოგადოების წინაშე წარსდგნენ თითქმის ორსაათნახევრიანი პრეზენტაციით ტურინის სუდარის შესახებ. მთელი პრეზენტაციის დროს საუბარი მიმდინარეობდა მრავალფეროვანი თვალსაჩინოების დემონსტრირებით და დამსწრეთ საშუალება ჰქონდათ სრულად წარმოედგინათ ტურინის სუდარასთან დაკავშირებული მთელი ისტორია. ხელოვნებათმცოდნეების და იკონოგრაფიით დაინტერესებული დამსწრეთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია VI საუკუნის ერთ-ერთ პირველ ბიზანტიურ ხატზე, ასევე XII საუკუნის ქართულ ხატზე გამოსახული მაცხოვრის მსგავსებამ ტურინის სუდარაზე აღბეჭდილ პორტრეტთან, ცხოველი ინტერესი გამოიწვია ტურინის სუდარის ისტორიასთან დაკავშირებულმა ფაქტებმაც. ტურინის სუდარა ხომ თავიდან ეფესოში ინახებოდა, შემდეგ კონსტანტინოპოლში შემდგომ იგი ბიზანტიის იმპერატორისგან ზღაპრულ ფასად შეიძინა საფრანგეთის მეფე ლუი აღმსარებელმა, საბოლოოდ კი სუდარა ტურინში მოხვდა, სადაც ამჟამადაც არის დაცული სპეციალურად მისთვის აღმადგენლ საკურთხეველში. დაახლოებით საუკუნის წინ კი დაიწყო მისი ფოტოგრაფირება და შესწავლა. ალდო გუარესკი რიგით მესამე ოფიციალური ფოტოგრაფია, ვისაც აქვს უფლება ფირზე აღბეჭდოს ეს უწმიდესი რელიკვია.

ინფორმაცია ტურინის სუდარისადმი მიძღვნილი კონფერენციის შესახებ გადაიცა საქართველოს პირველი არხისა და ტელეკომპანია „ალანიას“ მიერ. უფრო დაწვრილებითი მასალა სამომავლოდ ჟურნალ „საბას“ მიერ იქნება გამოქვეყნებული. შესაძლოა, გათვალისწინებულ იქნეს საზოგადოების სურვილიც და სათანადო ოფიციალური შეთანხმების შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოიცეს მასალები ტურინის სუდარის შესახებ.

### **ტოლერანტობიდან სამოქალაქო ინტეგრაციამდე** კონფლიქტოლოგიის ცენტრის ახალი ინიციატივები

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითმა ცენტრმა (ხელმძღვანელი, პროფესორი გიორგი ხუციშვილი), გერმანულ ფონდ EED-ს მხარდაჭერით შერატონ მეტეხი პალასში გამართა პროექტის – „ტოლერანტობიდან სამოქალაქო ინტეგრაციამდე“ დასკვნითი კონფერენცია, რომელზეც წარმოდგენილ იქნა ცენტრის მიერ უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული საქმიანობის შედეგები.

კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოში კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენლებიც.

კონფერენციაზე წარმოდგენილ იქნა კონფლიქტოლოგიის ცენტრის მიერ პროექტის ფარგლებში ჩატარებული რელიგიური ჯგუფების პრეზენტაციების მასალების საფუძველზე მომზადებული გზამკვლევი **„რელიგიური მრავალფეროვნება საქართველოში“**. გზამკვლევი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული და მოკლე ინფორმაციას შეიცავს საქართველოში მოქმედი ყველა რელიგიური გაერთიანების შესახებ. კონფერენციის მონაწილეთა დიდი ინტერესი დაიმსახურა EED – ს მხარდაჭერით განხორციელებულმა კვლევის – **„უმცირესობების მდგომარეობა საქართველოში, სიტუაციური ანალიზი“** (პროექტში იძულებით გადაადგილებულ პირთა, მათ შორის, მუსლიმ მესხთა პრობლემებია განხილული) და სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის კოორდინატორის კობა ჩოფლიანის მოხსენებამ რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მთავარი გამოწვევები დღევანდელ საქართველოში. მოხსენებების შემდეგ ცხარე დებატები გაიმართა, რომელშიც კონფერენციაზე მოწვეული ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს.

კონფერენციის მონაწილეებს დაურიგდათ კონფლიქტოლოგიის ცენტრის მიერ გამოცემული წიგნები: „თემის განვითარება: ძირითადი პრინციპები“ „რელიგიური მრავალფეროვნება საქართველოში“, „უმცირესობები საქართველოში“. დაინტერესებულ მკითხველს შესაძლებლობა აქვს აქ ჩამოთვლილ ლიტერატურას გაეცნოს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

### **შეხვედრა სახალხო დამცველთან**

საქართველოში კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენლები (სასულიერო პირები და სამრევლო საბჭოს წარმომადგენლები) მიიღო სახალხო დამცველმა ბატონმა სოზარ სუბარმა. შეხვედრისას კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენლებმა და სახალხო დამცველმა ისაუბრეს იმ პრობლემებზე, რომლებიც თავს იჩენენ

ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ ხანს ტოლერანტული გარემოს ფორმირების თვალსაზრისით, ასევე ბოლო პერიოდში არსებულ სამართალდარღვევებზე, არაეთიკურ განცხადებებზე, რომლებიც, სამწუხაროდ, გაისმის ქართველი კათოლიკეების მისამართით. სახალხო დამცველმა აღუთქვა კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენლებს, რომ ყველა ის სამართლებრივი გადაცდომა თუ არაეთიკური განცხადება, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურების ან მასმედიის მხრიდან იქნება გაკეთებული რელიგიური თუ ეთნიკური უმცირესობების მიმართ იქნება სათანადოდ გამოძიებული და დანაშაულის დადასტურების შემთხვევაში მათ მიეცემა შესაბამისი რეაქცია. გადაწყდა ასევე, რომ სახალხო დამცველი სისტემატურად შეხვდება კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენლებს. ყველა რელიგიური გაერთიანების პრობლემათა შესწავლასა და ზოგად მონიტორინგს სისტემატურად ახორციელებს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, რომლის თანამშრომლები ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა რელიგიურ თუ ეთნიკურ ჯგუფებს, შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას უწევენ მათ, ესმარებიან ადამიანებს მათი მოქალაქეობრივი უფლებების დაცვაში. შეხვედრაზე ისაუბრეს აგრეთვე რელიგიათა საბჭოს იმ ინიციატივებზე, რომლებიც უახლოეს თვეებში განხორციელდება.

რუბრიკა მოამზადა  
ნუგზარ ბარდაველიძემ

განცხადება

## ბიოეთიკოსები თბილისში შეიკრიბებიან

ბიოეთიკა არც თუ დიდი ხნის ისტორიას ითვლის, ხოლო რაც შეეხება საქართველოს, ჩვენთან ბიოეთიკა ახლა იდგამს ფეხს. რამდენიმე წელია რაც სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ბიოეთიკის კათედრა, გამოიცა სახელმძღვანელო, მომზადდნენ პირველი სპეციალისტები. ბიოეთიკის კურსი იკითხება სულხან-საბა ორბელიანის სახ. თეოლოგიის ინსტიტუტში, სადაც ამ დისციპლინას სპეციალურად ლეოვის უნივერსიტეტის ბიოეთიკის კათედრიდან მოწვეული ევროპის მასშტაბით ცნობილი პროფესორები კითხულობენ. ინსტიტუტი გეგმავს უცხოეთში აპრობირებული ბიოეთიკის სახელმძღვანელოს თარგმნასა და გამოცემას. ბიოეთიკის პოპულარიზაციით დაინტერესებულია საქართველოს რელიგიათმცოდნეთა კავშირიც, რომელიც ამ დისციპლინის ხელშეწყობის მიზნით ჯერ კიდევ გასული წლიდან ემზადებოდა ორგანიზება გაეწია და ემასპინძლა ბიოეთიკაში საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმისათვის. მცდელობამაც შედეგი გამოიღო და საქართველოში ბიოეთიკის განვითარებით დაინტერესებულ ადამიანთა სურვილს, მოეწეოს საერთაშორისო მასშტაბის შეხვედრა, ასრულება უწერია.

2008 წლის 14 და 15 მაისს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს რელიგიათმცოდნეთა კავშირი, ჟურნალების „დიალოგისა“ და „საბას“ მხარდაჭერით ატარებს მეოთხე საერთაშორისო სიმპოზიუმს რელიგიათმცოდნეობაში და პირველად საქართველოს ისტორიაში სამეცნიერო ფორუმი მთლიანად ბიოეთიკას დაეთმობა.

საქართველო, ბიოეთიკის პრობლემები და მისი განვითარების  
პერსპექტივები

ამ სათაურით ჩატარდება ეს შეხვედრა, რომელში მონაწილეობაზე სურვილი უკვე გამოთქვას, იტალიელმა, ფრანგმა, პოლონელმა და უკრაინელმა ბიოეთიკოსებმა.

სიმპოზიუმზე წარმოდგენილი მოხსენებები გამოქვეყნდება რელიგიათმცოდნეთა კავშირის სამეცნიერო კრებულში.

ახალგაზრდული გვერდი

## აღისა

მას ყველა იცნობს, იგი ყველას უყვარს. ჩვენი აღისა... მოდით ყველაფეს თანამიმდევრულად გიამბობთ.

გასული წლის 30 დეკემბერს, კვირის წირვაზე, მამა არტურმა გამოაცხადა, რომ იმ დღეს, 18 საათზე სამხატვრო გამოფენა მოეწყობოდა, რომელზეც სხვა მხატვრებთან ერთად აღისა ლეჟავას ნამუშევრებიც იქნებოდა გამოფენილი. აღისა ლექსებს რომ წერდა ვიცოდი, მაგრამ თუ ხატავდა კიდევ – ამას ნამდვილად არ ველოდი. ბუნებრივია, ძალიან დაინტერესდი ამ ამბით და გადავწყვიტე წავსულიყავი გამოფენაზე. ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო გამოფენაზე ვერ მოვხვდი, გული დამწყდა. სურვილი გამიჩნდა აღისაზე რამე დამეწერა, რაც ჩემთვის რთული აღმოჩნდა. არ მინდოდა მისი, როგორც უნარმეზღვდელი ადამიანის, ზედმეტად შეწუხება, ამიტომ დაეუკავშირდი დედამისს, რომელიც სიამოვნებით დამთანხმდა შესვედრაზე. ქალბატონი ლორა ძალიან კარგი მოსაუბრე აღმოჩნდა. საათზე მეტ ხანს გასტანა ჩვენმა შესვედრამ. დავიდალე, სამაგიეროდ ბევრი რამ გავიგე აღისას შესახებ.

აღისას ტყუპის ცალი გოგონა 16 დღისა გარდაცვლილა. დედამისი დარწმუნებულია, რომ აღისა სამშობიარო ტრამვის მსხვერპლია. როგორც საუბრიდან გაირკვა, აღისა რომ დამოუკიდებლად მოძრაობს, ეს ქ-ნი ლორას დამსახურებაა. გავბედე და ვკითხე: – არასოდეს გაგჩენიათ სურვილი მისი ბავშვთა სახლში ჩაბარების მეთქი? – არასოდესო, მიპასუხა. დიახ, არაინ უბრალო ადამიანები, რომელთა საქციელი გმირობის ტოლფასია. ეტყობა დიდი ნებისყოფის და ძალზე მომთმენი ადამიანია.

აღისა წყნარი, უპრეტენზიო, ძალზე კეთილი და მშრომელი ბავშვი ყოფილა (ეხლაც ესეთია). ვკითხე გამოფენის შესახებ. მომიყვა და თან გადმომცა აღისას სახელზე „სამხატვრო სტუდია ყველასათვის“ ხელმძღვანელების (დირექტორი ლია შველიძე, კოორდინატორი მამუკა ცეცხლაძე) მიერ გაცემული ცნობა, სადაც წერია: „... აღისამ გამოავლინა ყველა ის თვისება და ნიჭიერება, რაც მომავალი პროფესიონალი მხატვრის ჩამოყალიბებისათვის არის აუცილებელი“ და უსურვებენ მას შემოქმედებით წინსვლასა და წარმატებებს.

ქ-ნმა ლორამ, ასევე გადმომცა რამოდენიმე წიგნი აღისას ლექსებით, რომელთა ყდები აღისასავე ნახატებითაა გაფორმებული.

საოცარი მოვლენაა ღმრთის რწმენა, მაგრამ არა რიტუალურ-თეორიული, არამედ ცოცხალი ღმერთის ცოცხალი რწმენა. ასეთი მორწმუნე იქნეს, უფრო სწორად კი ქმნის, აღადგენს თავის განუმეორებელ სახეს. ის ყოველთვის არასტანდარტულია, საინტერესოა, სასარგებლოა, მშვიდობისმოყვარე და კეთილმოსურნეა. რწმენის ნაყოფი ძალიან განსხვავებული, ხანდახან კი მოულოდნელია.

„მე მქვია აღისა“, „მე ვარ ... წლის“, „ვცხოვრობ თბილისში“... , – ასე უბრალოდ წერს თავის თავზე საკუთარი ლექსების კრებულში გოგონა, რომლისთვისაც თითოეული ნაბიჯი, თითოეული ჩვეულებრივი, ყოველდღიური მოძრაობა მძიმე ტვირთია.

მისთვის ალბათ ყველაფერი მძიმეა გარდა ლექსების წერისა და ხატვისა.

განსაცვიფრებლად მსუბუქად, ბუნებრივად, ერთდროულად ღრმად და უბრალოდ წერს აღისა ცხოვრებაში ყველაზე მთავარზე – სიყვარულზე და რწმენაზე.

იგი ხედავს იმას, რასაც ხალხი ჩვეულებრივ არ აქცევს ყურადღებას ცხოვრების ორომტრიალში.

მისი თვალთ დანახული სამყარო გამსჭვალულია პოეტურობითა და სიკეთით, ფანტაზიითა და სიმართლით.

ნეტავ სად არის ამ სულის სიძლიერისა და შთაგონების წყარო?!

მინდოდა უფრო მეტი გამეგო ამ საოცრად ნიჭიერი და მაღალი ინტელექტის მქონე გოგონას შესახებ.

როდესაც ძმა რობერტოს ვთხოვე მოეთხრო რამე ალისას შესახებ, მიპასუხა: „დედამისს და მე კი არ უნდა გველაპარაკო, არამედ თვითონ ალისას. მობრძანდით ჩვენთან და დაელაპარაკეთ“.

„კამილიელთა ოჯახის“ შესახებ ბევრი გამიგია და წამიკითხავს, მაგრამ ერთი ბრძნული ანდაზისა არ იყოს, ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა (თვითონ ალისასაც აქვს ამ ცენტრზე დაწერილი რამდენიმე წერილი). თავს არ შეგაწყნებ და ორიოდ სიტყვით ვიტყვი, რომ შესვლისთანავე თითქოს სადღაც საგანეში მოვხვდი. გამაკვირვა საოცარი სინატიფითა და გემოვნებით შესრულებულმა ხელნაკეთმა ნივთებმა. საშობაოდ და საადღომოდ ეკლესიის წინ ყოველთვის იყიდება ხოლმე ამგვარი ნაკეთობანი, მაგრამ არასოდეს გამიაზრებია, რომ ყველაფერი ეს გაკეთებული იყო ისეთი ბავშვების მიერ, რომლებიც სხვის დაუხმარებლად საკუთარ ხელ-ფეხსაც ვერ იმორჩილებენ... დაილოცოს ღმერთო შენი განგება!

დიდი პატივისცემა და მოწიწება ვიგრძენი ყველა იქ მომუშავესადმი, რომლებიც ძმა რობერტოს თაოსნობით უშურველად გასცემენ თავიანთ გულის სიტბოს.

ძმა რობერტომ მიჩვენა ალისას ნახატები. ხანმოკლე საუბარი გვქონდა. შევთავაზე ჩვენც მოვუწყოთ ალისას გამოფენა მეთქი. – სიამოვნებითო (ამაზე შემდგომ).

მე და ალისას ძალიან გულახდილი საუბარი გამოგვივიდა.

ყველა და ყველაფერი უყვარს: ლოცვა, ლექსების წერა, ხატვა, კერვა, საოჯახო საქმეები, ოცნებები, უყვარს დისშვილი, მეგობრები, ცხოველები, ყვავილები, თეატრი, ოპერა, ოცნებობს ნახოს ბალეტი, უყვარს...

და მაინც მთავარი მისთვის იესოა. ჩემს შეკითხვაზე: ვინ არის შენთვის იესო მეთქი, მიპასუხა: იესო ჩემი მსხნელი და მეგობარია, შუქია, რომელიც ანათებს, ავსებს და აზრს აძლევს ჩემს ცხოვრებას. იგი მაძლევს შემოქმედებით ზემთაგონებას.

როგორც თავად ამბობს წერა მისთვის სუნთქვაა, ხატვა – ახლად თვალახელილი ყრმის მიერ დანახული სამყარო, კერვა კი – გატაცებაა.

შევეკითხე, რას მიწერდი შენ ტოლ გოგონას ან ბიჭს, რომელიც არ იცნობს იესოს? გეგონება დაწერილს კითხულობსო, დაუფიქრებლად მიპასუხა: „შენ გრძნობ სიცარიელეს შენს გარშემო. ხშირად ხარ მარტოსული. შენს ცხოვრებაში არ არის ისეთი ადამიანი, რომელსაც ძალიან უყვარხარ. იგი ყოველ დღე გელოდება შენ, შე კი ყოველ დღე აუვლი ეკლესიას გვერდს და არ ფიქრობ მასზე, ის კი უყურებს შენს ნაკვალევს და გელოდება შენ. უნდა დაგამშვიდოს იმიტომ, რომ ყველაზე კარგად ის გიცნობს შენ“...

ამ მოკრძალებულ, ნათელი სულის გოგნაში დევს გამოკვეთილი ნიჭიერება, რომელიც ყოველდღიურად ვითარდება. უდავოა, ეს ღმრთისგან ბოძებული მაღლია, რომელიც ეხმარება მას სულიერ ზრდაში.

მთელი გულით მინდა ვუსურვო მას თავისი ოცნებების ასრულება, განსაკუთრებით მის მრავალფეროვან შემოქმედებაში.

ნადია ჩიტაძე

განუსვენე მათ, უფალო!

ნინო ხითარიშვილი

\* 01. 12. 1922, არალი

† 16. 03. 2008, ვალე

## თამაზ ხითარიშვილი

\* 31. 03. 1974, ვალე

† 02. 02. 2008 (ტიუმენი), ვალე

## ნოდარ გოზალიშვილი

\* 20. 02. 1959, ვალე

† 30. 03. 2008, ვალე

## პეტრე ხითარიშვილი

\* 20. 08. 1917, ვალე

† 27. 03. 2008, ვალე

## საგანგებო ჩანართი

### ლურდის წმიდა სავანე

ოდესღაც იგი უკაცრიელი ადგილი ყოფილა: საფრანგეთის პირინეის დაბლობზე, ოდნავ მოშორებით ლურდიდან, მასაბელას მღვიმესთან ღორები საჭმლის საძებნელად მიდიოდნენ. წელს კი რვა მილიონზე მეტი ადამიანი შეიკრიბება სალოცავად და მათ თანხლებას გაუწევს 110 ათასზე მეტი მოხალისე, რომლებიც მათთან ერთად აღნიშნავენ ლურდის წმიდა სავანეს იუბილეს.

აქ, ამ ადგილზე, 150 წლის წინათ, ღმრთისმშობელი რამდენჯერმე გამოეცხადა ერთ ღარიბ და წერა-კითხვის უცოდინარ გოგონას – ბერნადეტ სობიროს. ამ დღიდან მოყოლებული 67 ადამიანი სასწაულებრივად განიკურნა სნებისგან და მსოფლიოს ყველა კუთხიდან წამოსული მილიონობით ადამიანი კვლავ ღვთის სახისა და მისი სიყვარულის ძიებაშია; უწყვეტად მოედინება ხორციით დასნეულებულ მაძიებელთა ნაკადი უღვევი წყალობის მისაღებად და ამ მღვიმის საოცრად სტუმართმოყვარე გარემოში განკურნების სათხოვნელად. პატარა ბერნადეტამ გამოცხადება პირველად იხილა 1858 წლის 11 თებერვალს: იგი 14 წლისა იყო, მშობლებთან და დაძმებთან ცხოვრობდა კაშოტში, ლურდის ყოფილ საპყრობილეში, რომელსაც თავი შეაფარა სიდატაკეში ჩავარდნილმა ოჯახმა. იმ დღით შეშის მოსაგროვებლად წასულმა ბერნადეტამ დიდხანს დაჰყო მდინარე გავეზე, მასაბელაში. უცებ ხმაური შემოესმა და მღვიმისკენ შეტრიალდა. აი, რას ყვება იგი: „შევამჩნიე თეთრებში შემოსილი ქალბატონი. თეთრი კაბა ეცვა, თეთრი მანდილი ეხურა, ლურჯი ქამარი ერტყა და ორივე ფეხზე ყვითელი ვარდი ეკეთა“. ამ ქალბატონთან ერთად წარმოთქვა ბერნადეტამ სავარდე. ამ გამოცხადებას სულ მალე მოჰყვა დანარჩენი 17. ეს იყო „შეხვედრის“ წუთები ჭვრეტით, ღიმილით, ლოცვით, სიხუმით, კითხვა-პასუხების თანხლებით: ბერნადეტმა ჩათვალა, რომ იგი „მოწიფულ პიროვნებად მიიღეს“ და უბრალოებითა და ნდობით მიენდო. გოგონას ქალბატონმა სთხოვა ელოცა ცოდვებისათვის, მოეწყო სამლოცველო და პროცესიად წამოსულიყო მღვიმეში; წყურვილი მოეკლა და სხეული განებანა წყაროში, სწორედ იმ წყაროში, რომელიც ბერნადეტამ აღმოაჩინა მღვიმეში თავისი შიშველი ხელებით მიწის გამოთხრისას. მას შემდეგ ამ წყაროს არასოდეს შეუწყვეტია დენა. ქალბატონმა თავისი სახელი გაუმხილა: „მე ვარ უმანკოდ ჩასახვა“. ბერნადეტა ვერ ჩაწვდა ამ სიტყვების მნიშვნელობას, და როცა თავის მოძღვარს ამის შესახებ უამბო, იგი გაოცებული დარჩა: სულ რაღაც ოთხი წლის წინათ დაედგინა პაპ პიუს IX-ს უმანკოდ ჩასახვის სარწმუნოებრივი დოგმა. იმ დროს მღვიმე პირქეში და



ნესტიანი ადგილი იყო; დღეს იგი წმიდა სავანეს გულია, მას უზარმაზარი არე, 59 ჰექტარი უკავია, რომელიც მღვიმის გარდა სხვადასხვა ადგილებს მოიცავს – წყაროს წყლის ადგილი, საპროცესიო ხეივანი, ერთი დიდი გორაკი Via Crucis-სათვის, შეხვედრის დარბაზი, სააღმსარებლო ადგილები, სამი ბაზილიკა, რომელიც მღვიმეს ადგას თავზე და ახლადაგებული ეკლესიები. მთლიანობაში აქ 22 საკულტო ადგილია.

მღვიმის გარეთ თანამედროვე ლურდია თავისი ხალხით სავსე სასტუმროებით, სუვენირების მაღაზიებითა და რესტორნებით, და იქვეა ანტიკური ლურდი, რომელიც ინახავს იმ ადგილებს, სადაც ბერნადეტამ თავისი ცხოვრება გაატარა. ყველაზე დიდი ადგილი წმიდა სავანეს უკავია, სადაც ვერ შეხვდებით ვერანაირ სუვენირების მაღაზიას, აქ დღის დიდ ნაწილს ატარებენ ეტლებით ჩამოსული ავადმყოფები თავიანთი თანმხლები მოხალისეებითა და პილიგრიმებით. მათ ყველგან შეხვდებით: მღვიმის წინ არსრულეულ წირვასა თუ მრავალ ენაზე შესრულეულ „ინტერნაციონალზე“, კანდელებით გამართულ შთამბეჭდავ ღამის პროცესიებსა თუ ვეჰარისტიულ თაყვანისცემაზე. ლურდში დღის ყოველი საათი რწმენის ნიშნებით არის დაყოფილი. ვინ ეკლესიაში რჩება მღუმარედ, ვინ მღვიმის წყაროს წყლით ნაკვებ აუზში იძირება, ვინ „წყლის გზის“ ცხრა გაჩერებას ასრულებს და ვინ ლოცვით ჩერდება მღვიმის წინ, რომელსაც იოან პავლე II-მ „ლოცვის სკოლის გამორჩეული კათედრა“ უწოდა. თუმცა სულიერი სავარჯიშოები აქ არ სრულდება. სივრცე, საითაც ადამიანები თავიანთი სურვილით ისწრაფვიან, ამავედროულად არის ზიარების, ერთ ეკლესიად შეგრძნების ადგილი. აქ ერთად ჭამენ და ერთად ლოცულობენ, ერთად აღნიშნავენ ლიტურგიას, და იზიარებენ სიხარულის და ნდობის წუთებს. აქ იბადება ახალი მეგობრობა, ძლიერდება უკვე არსებული კავშირები და ყოველდღიურ ცხოვრებას ნიღბები ეხსნება. ფიზიკური ტანჯვა არ იმალება: იგი თავისი ბუნებრიობით ცხადდება და ათასობით მოხალისის ზრუნვაში აისახება.

„ავადმყოფების გვერდით დაუვიწყარი წუთები განვიცადე, ეს იყო ჭეშმარიტი და ღრმა ადამიანური კავშირები“, – გვიყვება პროფესიით ექიმი ალბერტო გოზი. ოც წელზე მეტია, როგორც მოხალისე იგი ავადმყოფებს უწევს თანხლებას და გახლავთ FTAL-ის (*ლურდის ავადმყოფთა გადაყვანის ფედერაციული სამსახური*) ვიცე-პრეზიდენტი და ამ სამსახურის ექიმთა ეროვნული პასუხისმგებელი. „ლურდში, ღმრთისმშობლის გაცხადების გამორჩეულ ადგილზე, ყოველგვარი ბარიერი იშლება ჯანმრთელსა და ავადმყოფს შორის: აქ ყველა, უბრალოდ, პიროვნებას წარმოადგენს, რომლებიც ერთად ეწაფებიან სულიერ გამოცდილებას, მთელი არსებით ურთიერთობენ ერთმანეთთან. ეს მღვიმეში ხდება: მარიამის წინაშე თითოეული ადამიანი თავს სასურველ სტუმრად გრძნობს, იმით რასაც თავად წარმოადგენს და არა თავისი როლით ან გარეგნობით. აქ ადამიანები მარიამის მაგალითს ბაძავენ და ისე იქცევიან: იღებენ სიყვარულს და ერთმანეთს გადასცემენ მათ. ლურდში თვალისთვის საჩინო ხდება ადამიანებისადმი ღვთის თანაგრძნობა, და თანასწორობა“. ლურდი, როგორც იოანე პავლე II ამბობდა, „ღმრთის სიყვარულის უბრალო უწყების გულით მიღებას ეხმარება და გვასწავლის, თუ როგორ ვუჭკერეტდეთ მხურვალე სიყვარულით ქრისტეს სახეს“. აქ ცხოვრება მაგიური გზით კი არ იცვლება, არამედ ხელახლა იშვება. სწორედ ეს განიცადა ნობელის პრემიის ლაურეატმა ალექსის კარელმა. ცნობილი ფრანგი ექიმი და ფიზიოლოგი ლურდის მღვიმედან მიღებული განკურნების უშუალო თვითმხილველი იყო 1902 წელს. კარელი ლურდისკენ მიმავალ მატარებელში ავადმყოფებთან ერთად მეზავრობდა, მან შეცვალა თავისი კოლეგა ექიმი, რომელმაც წასვლაზე უარი განაცხადა. ყურადღებიანმა და მზრუნველმა ექიმმა

სათითაოდ მონახულა ავადმყოფები და მათგან განკურნების ოთხი „შეუძლებელი“ ფაქტი გამოავლინა. თუკი ერთ-ერთი მათგანი მაინც განიკურნებოდა, ჩვენ მართლაც ამოუხსნელი ფაქტის წინაშე დავდებოდით. კარელი პირადად აკვირდებოდა მარი ბაილს, ოცი წლის ბორდოელ გოგონას, რომელიც პერიტონიტის ბოლო სტადიაში იმყოფებოდა. მგზავრობასთან ერთად გოგონას მდგომარეობა უფრო და უფრო რთულდებოდა, ლურდში ჩასულს ტკივილებს მორფით უყუჩებდა, მღვიმეში მისი მიყვანა ნიშნავდა მომაკვდავის ბოლო სურვილის შესრულებას. სწორედ მაშინ, როდესაც ხალხი ღოცულობდა, ხოლო ექიმი მას ადევნებდა თვალიყურს, გოგონამ ოხვრა შეწყვიტა, პულსი მოწესრიგდა, ბურთივით გასიებული მუცელი ჩვეულ ფორმას დაუბრუნდა, მარია წამოჯდა, რასაც თვეები ვეღარ ახერხებდა. მის გვერდით მდგარი ექიმი სასწაულის თვითმხილველი გახდა, რამაც მისი ცხოვრება შეცვალა. კარელისთვის (მოგვიანებით, 1912 წელს, ნობელის პრემიას იღებს თავის სამეცნიერო კვლევაში ორგანოების და სისხლძარღვების ტრანსპლანტაციაზე) ლურდის გამოცდილება ექიმის სამუშაო მეთოდზე და ცხოვრებაზე მეტყველებდა, როგორც ამას შემდეგ თავის ცნობილ ფრაზაში ჩამოაყალიბებს: „ხედაპირულ დაკვირვებას და დიდ განსჯას შეცდომაში შევყავართ; ხოლო ღრმა დაკვირვებას და ნაკლებ განსჯას ჭეშმარიტებაში“. დაკვირვება – აი, ეს გაღხდათ ის, რამაც ქალბატონი შეაცნო პატარა ბერნადეტას.

### **განკურნებები და სასწაულები**

დაახლოებით ექვსი ათასი განკურნება მოხდა ლურდში და დღემდე 67 სასწაულად მიიჩნევა. ფაქტების გადამოწმება ორ კომისიას დაევა. პირველი, ლურდის სამედიცინო ბიუროს, რომელსაც ადგილზე ევალება ფაქტის შემოწმება: კონსულტაციებში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს მედიცინის ყველა დარგის წარმომადგენელმა. თუკი ბიურო, ექიმების დასკვნებისა და ავადმყოფის სტატუსზე დაყრდნობით გასცემს პოზიტიურ დასკვნას, მთელი დოსიე ლურდის ექიმთა საერთაშორისო კომიტეტს გადაეცემა, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის 20 სპეციალისტს აერთიანებს; ისინი წელიწადში ერთხელ იკრიბებიან პარიზში. თითოეულ დოსიეზე ზრუნავს კომიტეტის ერთი ან მეტი წევრი, რომლებიც გარდა იმისა, რომ კონსულტაციისთვის მიმართავენ მსგავს ფაქტებზე არსებულ მსოფლიო ლიტერატურას, ასევე უცხოელ კოლეგებსაც. როდესაც ყველა ელემენტი შეჯამდება და განიხილება, ხმების უმრავლესობით გადაწყვეტენ, გამოაცხადონ თუ უარყონ, რომ განკურნების ფაქტის ახსნა აქტუალური მეცნიერებით ვერ ხერხდება. გადაწყვეტილება რომ სარწმუნო იყოს, საჭიროა ხმების ორი მესამედი. ექიმის შეფასება გადაეცემა იმ ეპარქიის ეპისკოპოსს, რომელსაც ეკუთვნის განკურნებული ადამიანი, და შემდეგ თავად ეპისკოპოსი გადაწყვეტს, ცნობს თუ არა განკურნების „სასწაულებრივ“ ხასიათს.

### **„დაიცავით თავისუფლება“ – ვოტილას მორატორიუმი**

დაუძღვრებული და ავადმყოფი იოანე პავლე II უკანასკნელად ლურდში 2004 წელს გაემგზავრა. აი, მისი სიტყვები 15 აგვისტოს ქადაგებაში:

„მასაბელას ამ მღვიმედან ქალწული ჩვენც გვესაუბრება, მესამე ათასწლეულის ქრისტიანებს. მოდი, ვუსმინოთ მას! უწინარესად ისმინეთ თქვენ, ახალგაზრდებო, ვინც თქვენს ცხოვრებაზე აზრის მომნიჭებელ პასუხებს ეძებთ. აქ შეგიძლიათ მისი პოვნა. ეს ძლიერი პასუხია, მაგრამ მთლიანად გვაკმაყოფილებს. მასში არის ჭეშმარიტი სიხარულის და მშვიდობის საიდუმლო. ამ მღვიმედან განსაკუთრებული მოწოდება გაისმის თქვენთვისაც ქალბატონებო. მღვიმეში გაცხადებით მარიამმა თავისი უწყება გოგონას გაანდო, ამით იმ

განსაკუთრებულ მისიაზე მიანიშნა, რაც ჩვენი დროის ქალბატონებს ეხებათ, რომლებიც ცდუნებაში ვარდებიან მატერიალიზმით და საკულარიზაციით: იყავით მოწმენი დღევანდელ საზოგადოებაში იმ არსებითი ფასეულობებისა, რასაც მხოლოდ გულის თვალებით დაინახავთ. თქვენი, ქალბატონების, ვალია იყოთ *უხილავის* ვიწრო ბილიკები! თქვენ ყველას, ძმანო და დანო, მოგიწოდებთ მხურვალე მოწოდებით, რათა ყველა ღონეს მიმართოთ, რომ ძალები არ დაზოგოთ სიცოცხლის დასაცავად, ჩასახვიდან ბუნებრივ სიკვდილამდე. სიცოცხლე წმიდათა-წმიდა მადლია, რომელსაც ვერავინ დაეპატრონება. ღურდის ქალწული ყველას უგზავნის ამ უწყებას: იყავით თავისუფალი მამაკაცები და ქალბატონები! მაგრამ გახსოვდეთ: ადამიანის თავისუფლება ცოდვით დაღდასმული თავისუფლებაა. საჭიროა გავთავისუფლდეთ მისგან. ქრისტე არის მისი განმათავისუფლებელი, იგი, რომელმაც გავთავისუფლა რთა თავისუფალნი ვყოფილიყავით (გალ. 5,1). დაიცავით თქვენი თავისუფლება!“.

### ნამდვილად დიდ სისწაულს აქ ვერ ვხედავთ

ღურდის სასწაულიდან 150 წელი გავიდა. 150 წელი ბევრია ხსოვნისთვის და ადამიანთა სიყვარულისთვის. დროის ამ პერიოდში მსოფლიოს უძლეველი იდეოლოგიები იშენენ და ჩაესვენენ. ცოცხალი დარჩა ხსოვნა იმ წერა-კითხვის უცოდინარ გოგონაზე, რომელმაც პირენეის ერთ-ერთ სოფელში დაუჯერებელი რამ დაამტკიცა: რომ იხილა და ესაუბრა თვით ღმრთისმშობელს.

ნახევარი საუკუნის შემდეგ, მილიონობით ადამიანი ჩამოდის ღურდში. ცხადია, თუკი ამის მიზეზს საზოგადოების რომელიმე სახელოვან ათეისტს დავეკითხებით, ღიმილით განმარტავდა, რომ ეს ცრუმორწმუნეობას ეხება და იგი ადამიანთა საჭიროებებიდან და ტკივილიდან არის განპირობებული. თუმცა ღურდის ფაქტი უფრო გულდასმით ახნა-განმარტებას იმსახურებს. და ასეც არის: უამრავი ადამიანი კვლავ აგრძელებს მიმლოცველობას, ისინი ხშირად მთელი ცხოვრების მანძილზე უბრუნდებიან ამ ადგილს. დღეს ღურდი 150 წლის წინანდელი სიტყვიერი გამოძახილია და თუნდაც ადამიანებმა ეკლექტიკურ განკურნებას ვერ მიაღწიონ, მაინც ბრუნდებიან. ის, რაც რაციონალური კუთხით ვერ აიხსნება, მხოლოდ იმ ფაქტით არის გასაგები, რაც ღურდში იპოვეს და რისთვისაც ღირს ისევ იქ წასვლა, დაბრუნება. მაინც რაშია ეს დაფარული და ძლიერი ძალა, რაც სეკულარული ევროპის შუალამის გულში ასე ავსებს მატარებლის ვაგონებს მიმლოცველებით? ისინი ყველანი ავადმყოფები როდი არიან. აქ შეხვდებით სრულიად ჯანმრთელ მოზარდებს, მოწიფულ ხალხს, რომლებიც ყოველ წელს ბრუნდებიან. ეს რომ გავიგოთ, დილაადრიან უნდა გადავხედოთ წელის აუზის წინ რიგში მდგომარეთა სახეებს. ათასობით მამაკაცი და დედაკაცია ჩამოსული აქ მსოფლიოს შორეული კუთხეებიდან: დასავლელი ბურჟუა და უბრალო ინდიელი, აფრიკელი და სლავი ხალხი, ორსული ქალები... (ძნელია სოციოლოგიურად წარმოვადგინოთ ეს ხალხი. საკმარისია შევხედოთ მოთმინებითა და მშვიდი სახეებით მომლოდინე უბრალო ადამიანების გამომეტყველებას).

ადამიანები აქ თხოვნით მოდიან და არა აუცილებელად განკურნების მიზნით. მეტადრე იმ ძალის სათხოვნელად, რაც მათ ცხოვრების წინსვლაში ეხმარებათ; იმ აზრის მოსაძებნად, რისთვისაც ღირს ცხოვრება თავისი ჭირ-ვარამით, ხილულით თუ უხილავით; მოდიან იმედის მისაღებად, იმ იმედისა, რისი მოპოვებაც ასე ადვილად ვერ ხერხდება ქალაქების აურზაურში, ჩვენი მიწიერი სურვილების ამხდენელ სავაჭრო ცენტრებში. ზოგჯერ ოჯახებში,

სადაც ყველაზე მეტად ვგრძნობთ ამის მოთხოვნილებას, გვიჭირს მასზე საუბარი.

ღურდი ესაა სათხოვნელად გაწვდილი ხელი – ათასობით, მილიონობით გაშლილი ხელი. ღურდის სულგრძელი და ყოველდღიური სასწაული ის არის, რომ მრავალი აქ პოულობს იმედს, როგორც თვალისთვის შეუმჩნეველ, მაგრამ გამძლე ძაფს – როგორც ერთ მუჭში მოქცეულ სავარდს, ასე რომ ჩასჭიდებია ბაზილიკაში მყოფი ხალხი. ღურდის ყველაზე დიდი სასწაული ის არის, რომ მას ვერ ვხედავთ, არც მისი საგაზეთო სვეტში მოთავსებაა მთავარი. ეს სასწაული მრავალი ადამიანის სახეზეა აღბეჭდილი, რომლებიც მწუხრის პირს გამოდიან ამ წმიდა საგანიდან, იმ სახეებზე, რომელსაც აღარ ატყვია უიმედობის, ცინიზმის, მწუხარების ნიშან-წყალი, არამედ ნდობისა და იმედის; სიმშვიდეში მყოფი ადამიანების სახეებზე. ამ ადგილზე, – ვიდრე სხვაგან – რწმენა ყველაზე მარტივად, იძლევა ბენედიქტე XVI-ის მიერ გამოხატულ „Spe Salvi“-ში - hyparxin-ს, ანუ იმედის უმთავრეს არსს. არა აღთქმული და შორეული მომავლისკენ სწრაფვით, არამედ დაპირებათა რეალური პრინციპით, კონკრეტულით, რომელიც ცვლის ცხოვრებას: აქ ჩვენი დღე სულ სხვაგვარად სუნთქავს, ზუსტად ისე ვგრძნობთ თავს, როგორც ბედნიერების მოლოდინში, თუნდაც აწმყო აუტანლად გვეჩვენებოდეს. და ამ „მნიშვნელობის“ გამო მიდის მილიონობით ადამიანი ღურდში, სადაც სასოება მისტერიული გზით, წყაროს წყალივით ელამუნება ჩვენს სულს. სიტყვა შვილებიდან შვილიშვილებზე და მათ შვილებზე გადადის; და ასე მეორდება აგერ უკვე ასორმოცდაათი წელი.

მოწმობა: ვიქტორ მიქელი, ტრენტოდან

„არა, არ ვფიქრობ, რომ განკურნებამ რწმენა შემიცვალა. ცხოვრება კიბეა, სადაც ყველანი ავლივართ და ჩავლივართ“, – ვიქტორ მიქელი, 68 წლის, მას სჯერა, რომ იგი იმ ხუთი იტალიელის ჯგუფშია, ვისაც თავისუფლად შეუძლია ღურდის მისტერიული განკურნების 67 ფაქტზე ილაპარაკოს, რომლებსაც დღემდე აღიარებს ეკლესია, როგორც სასწაული იმ 2.550 შორის, რასაც ექიმები „აუხსნელს“ უწოდებენ.

ფაქტი უნიკალურია თავისი პათოლოგიით: მუცლის მწვავე სარკომა. „როდესაც დედაჩემის დაუინებელი თხოვნით 1963 წლის მაისში მატარებლის ვაგონში შემთხვევანეს თაბაშირში ვიყავი მხრებამდე ჩასმული, რადგანაც სიმსივემ მარცხენა თავის ქალის ნაწილი წამართვა, ფეხების ძვალებზე ტყავი იყო დარჩენილი. დამქანცველი მოგზაურობა ორი დღე გაგრძელდა. მერე იყო ლოცვები, პროცესია, წყლის აუზში ჩაძირვა, ღურდის საგანში ლოცვა. განკურნება მეისიერად არ მომხდარა. უკან დაბრუნებულმა თავი კარგად ვიგრძენი, მადაც დამიბრუნდა: სამი დღის მანძილზე ყველაფერი თავდაყირა დადგა. ძვალი ნელ-ნელა ფორმას იბრუნებდა, რასაც რადიოგრაფიაც ადასტურებდა“, – ყვება ვიქტორი და აზუსტებს: „ეს ამბავი *მელიკოსთა ბიუროს* ჩემმა ექიმმა აცნობა“. 8 წლის მანძილზე იგი სამედიცინო გამოკითხვებს იტარებდა, ხოლო 13 წელი საეკლესიო გამოკვლევებს დაელოდა, რომელმაც მის განკურნებაში სცნო 1976 წლის დეკრეტით „ღვთის, შემოქმედისა და მამის ძლიერი ხელი და უწმინდესი ქალწულის შუამდგომლობა“.

**ღმრთის რევოლუცია წუთისოფელს თავდაყირა აყენებს**

„ასორმოცდაათი წელი გავიდა და ასე მკონია ყველაფერი დღეს დაიწყო. წარმატებით განვლილი 150 წელი. ლურდის სასწაული? რწმენაში მოქცევა. ლურდის სტილი? უბრალოება. ლურდის რეკოლუცია? პირველ ადგილზე სწეულები და ხეიბრები. ლურდის საიდუმლო? იესოსთან შეხვედრა მისივე დედის მეოხებით, ევქარისტიაში და ასევე ცხოვრებაზე აზრის მინიჭება“, – ამბობს ლურდის ტაბრეს ეპისკოპოსი, მეუფე ჯაკ პერიე. სწორედ იგი გაუძღვა II თებერვლის წირვას, ზუსტად 150 წლის შემდეგ ნახევრადუწიგნური და უსუსური გოგონას ბერნადეტ სუბიროს წინაშე უმანკო მარიამის გამოცხადებიდან. წელს ეს თარიღი იუბილეს სრული დაცვით აღინიშნა. ინტერვიუში მეუფე პერიე ლურდის საიუბილეო მნიშვნელობაზე საუბრობს.

### **რას ეუბნება დღევანდელ ადამიანს ლურდი?**

ლურდმა თავდაყირა დააყენა წუთისოფლის ყველა საზომი. ეს არის ადგილი, სადაც არ არსებობს კარი. აქ შესვლა ყველას შეუძლია. მაგრამ პირველები ვინც უნდა შევიდნენ ესენია სწეულები, ხეიბრები, გაჭირვებულები, გარიყულები და მარტოსულები, ყველაზე მცირენი წუთისოფლის საზომით. და ეს არის სწორედ იუბილეს დედაარსი. ვფიქრობ, რომ ყველასთავის გასაგებია ის მნიშვნელობა, რასაც II თებერვალი ატარებს და არა მხოლოდ მისთვის, ვინც ლურდში მოდის ან საკუთარ ზურგით ატარებს ტკივილის იარაღს.

### **იუბილის ორი თვის შემდეგ რა ისახება?**

მიზანი ერთადერთი და ნათელია: მოქცევა. ისეთ საზოგადოებაში, რომელიც გვერდზე რიყავს წმინდას, ადამიანები მოსალოც ადგილებში სიცოცხლეს და იმედს პოულობენ. პაპის მეორ პლენარული ინდულგენციის მინიჭება კიდევ უფრო ცხადყოფს ამ წელს ლურდში პილიგრიმობის აზრს.

### **რატომ იხდით იუბილეს?**

პასუხი მარტივია: ეს ჩვენ არ მოგვიფიქრებია, არამედ ისტორიამ გვიკარნახა. ზუსტად 150 წლის წინათ ქალწული თვრამეტჯერ გამოცხადა თოთხმეტი წლის გოგონას, ბერნადეტ სუბიროს. გამოცხადება II თებერვლიდან 16 ივლისამდე ფიქსირდებოდა ლურდში 1858 წელს. ჩვენ გვინდა გავაცოცხლოთ სარწმუნოების ძველი სიო და სახარებისეული უბრალოება. ეს იმედის სიოა. ბენედიქტე XVI ამ დღესთან დაკავშირებით თავის მიმართვაში აცხადებს, რომ მზერა უნდა გადავიტანოთ ყოვლადუბიწოზე, როგორც ჭეშმარიტ მოდელზე. შეუძლებელია მარიამი ისე განჭვრიტო, რომ ქრისტეთი არ მოიხიბლო და ქრისტეს ვერ უმზერ თუ მყისიერად ვერ შეამჩნევ მარიამს. პაპი განმარტავს, რომ არსებობს გაუთიშავი კავშირი დედა-შვილს შორის და ეს კავშირი იდუმალი ძალით ცხადდება ევქარისტის წმიდა საიდუმლოში. ბენედიქტე XVI-ის ამ სიტყვებში მოკლედ არის გადმოცემული რას წარმოადგენს ლურდი და მისი იუბილე, რომელსაც ჩვენ აღვნიშნავთ.

ცამდე მართალი იყო პოლიციის ის კომისარი, რომელმაც ბენედეტას მკაცრი დაკითხვა მოუწყო „გამოცხადებების სიცრუის შესანიღბავად“ და ასე უსაყვედურა: „შენ აქ მთელ ხალხს მოიზიდავ!“ დიახ, დღეს აქ ყველა მოდის! იუბილე ისეთი ღონისძიებებით გავხსენით, რომელიც ყველა კატეგორიას ეხებოდა. მაგრამ ლიტურგიულმა წელმა და დვთისმშობლის დღესასწაულებმა დრო-ჟამი განსაკუთრებული ძალით დაყვეს. შემთხვევით როდია, რომ იუბილე გაიხსნა და დაიხურება უმანკოდ ჩასახვის დღეს.

### **ხალხი ლურდში სასწაულებისთვის ჩამოდის?**

გულის მოქცევა ნამდვილი სასწაულია. თუმცა მათ გვერდით არ უნდა დავივიწყოთ ხორციელი განკურნებები. როგორც ცნობილია ეკლესიამ აღიარა დღემდე მოხდენილი 67 განკურნება 7.000 მსგავსი ფაქტიდან. ციფრები იქით იყოს და ერთი რამ აშკარაა, ლურდი, მიუხედავად კვლევა-ძიებებისა, დღემდე რჩება საიდუმლოდ. აქ ავადმყოფები მხოლოდ საკუთარი თავისთვის არ ლოცულობენ, არამედ მათ გვერდით რიგში მდგომარეთათვის, სულ რაღაც წუთების წინ რომ გაიცნეს. ლურდში გამოცდი ნამდვილ მეგობრობას, რწმენას, თანადგომას. აქ მრავალი უიმედოდ შთენილი იმედით ავსებული უბრუნდება თავის კერას, სიცოცხლეს. იმ წუთიდან, როცა მატარებლის ვაგონში შეაბიჯებენ, ისინი ხვდებიან, რომ აღარ არიან მარტონი.

### **მატარებელი - ეს პილიგრიმობის ელემენტია?**

მატარებელი უეჭველად არის გამორჩეული ტრანსპორტის სახეობა, რადგანაც მასში ადამიანები ახლო ურთიერთობებს ამყარებენ, ჯერ კიდევ იმ ვაგონში, რითაც ისინი წმიდა სამლოცველოში ჩადიან. შემდეგ ესეც არის, რკინიგზა ლურდში ჯერ კიდევ 1866 წელს გაიყვანეს.

### **რას ეძებს და რას პპოვებს პილიგრიმი ადამიანი ლურდში?**

ეძებს და პპოვებს გულის მოქცევას, ღვთის რევოლუციას, რომელიც შეიძლება ყოველი ადამიანის გულში დაიწყოს, აქ ავადმყოფობა ტვირთად კი არ შეიგრძნობა, არამედ საუკეთესო პირობად. მილიონობით ადამიანი ასრულებს უბრალო და მდაბალ ჟესტებს. აქ მოდიან, რათა ლურდის ცენტრალური უწყება თავად გამოსცადონ: მონანიება და მოქცევა. აქ არაფერია ახალი, არამედ ადამიანი ხდება ახალი. იუბილეს ღონისძიებებსაც სწორედ ეს მიზანი აქვთ.

### **ყველაზე მნიშვნელოვანი ინიციატივა?**

ერთადერთი სიახლე, თუკი ასე ვუწოდებთ, ამ წლის საიუბილეო ხასიათია. იგი ოთხ უმთავრეს ეტაპად ხორციელდება, რომელიც მოიცავს მთელ ქრისტიანულ ცხოვრებას – ნათლობიდან ექვარისტიამდე. პილიგრიმები, ფეხზე მდგომნი, ეკლესიიდან მიეშურებიან იქ, სადაც წმიდა ბერნადეტას ნათლობის წყაროა. გაივლიან ძალზე სადა და ღარიბულ ადგილს, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობდა და სადაც მისმა მოწოდებამ შეისხა ხორცი. შემდეგ წმიდა სამლოცველოს გზა გადის მასაბელას მღვიმეში და სრულდება ძველი საავადმყოფოს სამლოცველოში, სადაც ბერნადეტა პირველად ეზიარა. კიდევ ერთი ნიშანი: პილიგრიმს ეძლევა მოწმობა, ისე როგორც სანტიაგო დე კამპოსტელაში...

### **ყველაზე მნიშვნელოვანი თოლოგიური შეხვედრა?**

22-ე კონგრესი, რომელიც გაიმართა 4-8 სექტემბერს, ნეტარ ქალწულ მარიამის გამოცხადებების თემაზე და წარმოდგენილი იყო ისტორიულ, სარწმუნოებრივ და თეოლოგიურ ჭრილში. ღვთისმშობლის გამოცხადების ფენომენი ყოველთვის იპყრობდა, – რაც დღეს ნათელია, – როგორც მორწმუნეთა მასის ყურადღებას და ინტერესს, ასევე არაქრისტიანებისაც.

### **რა უწყება მოდის იუბილედან?**

ლურდში ყველა ბარიერი ქრება, გადაილახება გაუგებრობა და შუღლი, რადგანაც აქ ყველასათვის გასაგებ, ღვთის სიყვარულის ენაზე საუბრობენ. აქ ერთმანეთს ხვდება სახალხო მოწიწება და ამაღლებული ღვთისმეტყველება, მეცნიერება და ყველაზე ავთენტიური რელიგიური გამოცდილება. ერთი სიტყვით, ლურდში ყველაფრის ცენტრი არის ადამიანი.

## ლურდის ღვთისმშობლის გამოცხადების გამოძახილი საქართველოში

საუკუნენახევრის წინ საფრანგეთშიც ცოტამ თუ იცოდა ამ პატარა სოფლის არსებობის შესახებ, მაგრამ წმიდა ღმრთისმშობლის გამოცხადებამ პატარა გოგონა ბერნადეტასთან, მაშინათვე მთელს ქრისტიანულ სამყაროში გახადა ცნობილი ლურდი და კრიალოსანზე ლოცვის ტრადიციასაც ახალი ძალა შთაბერა. მართალია ათეისტურად და ანტიკათოლიკურად განწყობილი სკეპტიკოსები უნდობლად ეკიდებოდნენ ლურდის გამოცხადებას, მაგრამ იმ სასწაულებმა, რომლებიც ლურდში ხდებოდა და დღესაც ხდება, ყოველგვარი ეჭვის საფუძველი მოსპო. მედიკოსები დღესაც გულდასმით აკვირდებიან და სწავლობენ ლურდის სასწაულებრივ განკურნებებს, დღემდე ექიმებმა ვერავითარი მატერიალისტურ საფუძველზე დამყარებული ახსნა ვერ მოუძებნეს თუ როგორ იკურნებიან ასეულობით სნეულები ლურდის წყალში, თუმცა ყველა მედიკოსი ერთხმად ამტკიცებს, რომ სნეულება მართლაც რაღაც გამოუცნობი ძალის საშუალებით იკურნება. ამ განკურნებულებზე შემდგომაც მიმდინარეობს სამედიცინო დაკვირვება და ჯანმრთელობის შემდგომ გაუარესებებს ადგილი არ ჰქონია. ლურდის სასწაულებრივ განკურნებებს მრავალი სტატია, ტელეგადაცემა თუ დოკუმენტური ფილმი მიეძღვნა, სხვათა შორის 1990 წელს საქართველოში ჩატარებულ მეორე საერთაშორისო ტელეფილმების ფესტივალზე „ოქროს საწმისი“ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სპეციალური პრიზით აღინიშნა დასავლეთ გერმანული (მაშინ გერმანია ჯერ კიდევ ორად გაყოფილი გახლდათ), სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გზა ლურდისაკენ“. ასევე, წინა წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სპეციალური პრიზით დაჯილდოებულ იყო დოკუმენტური ფილმი „დედა ტერეზა“. „გზა ლურდისაკენ“ გვიჩვენებს თუ როგორ მიჰყავს ფეხით ლურდისაკენ ინვალიდის სავარძელში მყოფი დედა ახალგაზრდა კაცს, ეს ფილმი გახლავთ რწმენით, სიყვარულით, იმედით აღსავსე ფილმი, რომელიც გულგრლის არ ტოვებს მის მნახველს და მსოფლიოში მილიონობით ადამიანი, საკუთარი ან ახლობლის განკურნების იმედით აღვსილი, ოცნებობს მოინახულოს ლურდი. 2000 წელს მილენიუმის აღნიშვნის ფარგლებში, ლურდი მოილოცა „რწმენისა და სინათლის“ საკრებულომ, რომელიც თბილისის კათედრალთან არსებობს.

ლურდში წმინდა ღმრთისმშობლის გამოცხადებამ ქართველ კათოლიკეებში იმთავითვე დიდი გამოხმაურება ჰპოვა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში აგებული რამდენიმე ტაძარი სწორედ ლურდის ღმრთისმშობლის სახელზე ეკურთხა. მაგალითად ქუთაისის ტაძარი, რომლის მშენებლობა XIX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო, მისი კურთხევა თავდაპირველად სხვა სახელზე იყო ჩაფიქრებული, მაგრამ ლურდის გამოცხადების შემდგომ, ტაძრის წინამძღვარმა დონ დიმიტრი თუმანიშვილმა, სამრევლო საბჭოსთან შეთანხმებით და ზემდგომი სასულიერო იერარქების ლოცვა-კურთხევით, უმანკო ჩასახვის სახელზე აკურთხა ქუთაისის ტაძარი, რომელსაც იმ ხანად ტოლი არ მოეპოვებოდა მთელს დასავლეთ კავკასიაში. წმინდა ღმრთისმშობლის უმანკოდ ჩასახვის შესახებ დოგმატი ლურდის სასწაულამდე რამდენიმე წლით ადრე განცხადდა. ცხადია ამ დოგმატს, ისევე, როგორც ყოველივე ახალს, კრიტიკოსებიც გამოუჩნდნენ, ძირითადად პროტესტანტებისა და მატერიალისტების სახით. XIX საუკუნიდან ევროპაში მატერიალიზმი ერთობ მოღური და პოპულარული გატაცება გახლდათ.

1858 წელს ლურდში წმინდა ღმრთისმშობელმა აუწყა ქრისტიანულ სამყაროს, რომ იგი ჭეშმარიტად უმანკოდ იყო ჩასახული, ეს გახლდათ კათოლიკე ეკლესიის მიერ რამდენიმე წლით ადრე განცხადებული დოგმატის დადასტურება.

სწორედ ამიტომ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში იგება წმ. ღმრთისმშობლის უმანკო ჩასახვის სახელზე ნაკურთხი ტაძრები. ამ პერიოდში იქნა აგებული მოსკოვში მალაია გრუზუნსკაიას ქუჩაზე ახალი კათოლიკური ტაძარი ლურდის ღმრთისმშობლის სახელობისა. ეს ლამაზი ტაძარი დღეს რუსეთში რომის კათოლიკე ეკლესიის კათედრალს წარმოადგენს და რომელიც ნახავარსაუკუნოვანი იძულებითი დახურვის შემდგომ რუსეთის პრიმასმა კარდინალმა კონდრუსევიჩმა აღადგინა.

XIX საუკუნეში მღვდელ ივანე ხარისჭირაშვილის მიერ კონსტანტინოპოლში (სტამბოლში) წმ. ღმრთისმშობლის უმანკო ჩასახვის სახელზე იგება სატაძრო კომპლექსი, რომელიც ქართული სულიერების ერთადერთ კერას წარმოადგენდა XIX საუკუნეში. კონსტანტინოპოლის ტაძარი დღესაც მოქმედებს და ელის ქართველ კათოლიკე მღვდელს, რათა ქართულ ენაზეც აღვლენილ იქნას ღმრთის სიტყვა. სხვათაშორის თურქეთის ხელისუფლება თანახმაა ქართველ კათოლიკეთა მიერ აგებულ ტაძარში, ქართველი ღმრთისმსახურის დამკვიდრებისა.

XIX საუკუნის საქართველოში გარდა წმ. ღმრთისმშობლის სახელზე ტაძრების აგებისა ყველა მოქმედ საკრებულოში აღიმართა ლურდის ღმრთისმშობლის ქანდაკებები. ეს სკულპტურები დღესაც ამშვენებს თბილისის კათედრალს (სხვათა შორის, თბილისის კათედრალში აღმართული ღმრთისმშობლის სკულპტურა სასწაულებრივ გადაურჩა განადგურებას. იგი ნახევარი საუკუნის მანძილზე დაკარგული იყო და ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ შემთხვევით, თუ ამას შეიძლება შემთხვევითობა ეწოდოს, ტაძრის მიმდებარე შენობის სარდაფში აღმოაჩინა.

ლურდის ღმრთისმშობლის ქანდაკება საუკუნეზე მეტია აღმართულია წმ. პეტრე და პავლე მოციქულთა ტაძარში და მას ყოველდღიურად თაყვანს სცდებიან და ლოცვებით განადიდებენ მორწმუნეები.

ლურდის ღმრთისმშობლის სკულპტურა დღესაც ამშვენებს ქუთაისის ტაძარს, როგორც ნიშანი მისი კათოლიკური წინაისტორიისა და სადაც ამ სასწაულმოქმედ სკულპტურას მართლმადიდებლებიც მიაგებენ თაყვანისცემასა და მოწიწებას. ლურდის ღმრთისმშობლის კანდაკება ამშვენებდა ბათუმის ტაძარსაც, რომლის დახურვის შემდეგ ეს ქანდაკება ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გამორჩეულ ექპონატს წარმოადგენდა, მამა გაბრიელე ბრაგანტინის დიდი მეცადინეობით ლურდის ღმრთისმშობლის ქანდაკება დღეს უკვე ახლადაგებულ ტაძარს ამშვენებს, სამწუხაროდ გორის ტაძარში არსებული ქანდაკების ბედი უცნობია.

ლურდის ღმრთისმშობლის ქანდაკება ამშვენებდა სოფელ უდეს ტაძარსაც რომელიც 1908 წელს აიგო უდელი კათოლიკეებისა და მუსლიმების ერთობლივი ძალისხმევით, აი ჭეშმარიტი ქართული ტოლერანტობის მაგალითი, რომელიც სამწუხაროდ დავიწყებას მიეცა უდეს ტაძრის დაკეტვის შემდგომ. ვფიქრობ მკითხველისთვის საინტერესო იქნება 1987 წელს უდეს მკვიდრის ქალბატონ თინა თათოშვილის მონათხრობი, რომელიც ლურდის ქანდაკების თაყვანისცემას უკავშირდება. „როდესაც ჩვენი სოფლის ტაძარი დაკეტეს 1937 წელს, რაც სიწმინდეები იყო ერთად ჩაკეტეს საკურთხეველის გვერდით სადიაკვნეში. ომის დროს იქ კოლმეურნეობის საწყობი იყო გახსნილი. დამდამბით ჩუმად შევიპარებოდით ტაძარში და ღმრთისმშობლის ქანდაკებასთან ვლოცულობდით, თან გვეშინოდა რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს არ გაეგო, გვიკრძალავდა ტაძარში შესვლას. მერე ვთხოვეთ და ნება მოგვცა ქანდაკება გამოგვებრძანებინა ტაძრიდან და ოჯახებში გველოცა. ჩვენც გამოვაბრძანეთ იგი და მორიგეობით მოვაბრძანებდით ოჯახებში. შევიკრიბებოდით ერთად და მთელი დამე სავარდის ლოცვებს ვლოცულობდით. შემდეგ სხვა ოჯახი მასპინძლობდა ღმრთისმშობელს და იმ ოჯახში



ვიკრიბებოდით სავარდის სალოცავად. რომ შემოვივლიდა სოფელს, ქანდაკებას ისევ ტაძარში მივაბრძანებდით. ბოლოს ნება მოგვცეს რომ ტაძარშიც გველოცა ხოლმე.” არ შეიძლება აუღელვებლად მოგესმინა ეს ნაამბობი რომელიც 21 წლის წინ ბევრისთვის დაუჯერებლადაც უღერდა, რადგან ეს ის პერიოდი იყო როდესაც ბევრი მოქალაქე ახლა, რომ სხვებს ჭკუას ასწავლის მარხვის დაცვის მიზანშეწონილობაზე და დიდხანს არკვევს საკონდიტროს გამყიდველთან რომელია სამარხვო ტორტი, ამ ოციოდე წლის წინ მღვდლის დანახვაზე „ფუი ეშმაკსო” იძახდნენ და გვერდზე სამჯერ აფურთხებდნენ, ხოლო მესხეთში, რომელიც საბჭოთა სასაზღვრო ზონას წარმოადგენდა და განსაკურებული რეჟიმით ცხოვრობდა, მორწმუნე კათოლიკეები, რეპრესიის შიშის მიუხედავად სისტემატურად ღოცულობდნენ ღმრთისმშობლის ქანდაკებების წინ სავარდის ღოცვებს, ამ სულისკვეთებით ზრდიდნენ ახალგაზრდებს, მტკიცედ ინახავდნენ ქრისტიანობის ტრადიციებს და მაგალითს აძლევდნენ კომუნიზმის ფუჭი ღოდინით იმედგაცრუებულ და „უძრაობის” ჭაობში ჩარჩენილ დანარჩენ თანამოძმეებს. მე ვფიქრობ სწორე ეს არის ლურდის უმანკო ქალწულის საოცრება, იმ ქალწულისა დღესაც, 150 წლის შემდეგაც, სავარდის ხანგძლივ მხურვალე ღოცვებში რომ განადიდებენ მილიონობით ქრისტიანები.

**ნუგზარ ბარდაველიძე**